



კანონთა და ბანაკებულზეათა კრებული

ამიერკავკასიის სოხიალისტური ფედერატიული საჯარო რესპუბლიკის მუხათა და გლეხთა მთავრობისა.


1923 წლის
ოქტომბრის 1.

№ 9.
განყოფილება პირველი

გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული საკანონმდებლო კომისიის მიერ.

შ ი ნ ა ა რ ს ი ა :

- მუხ. 125. უძრავი ქონების ცეცხლისაგან სავალდებულო საგადასაცემო დაზღვევის შესახებ.
- „ 126. ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან საშფოო საქმის რესპუბლიკანური კომისიებისა და საქალაქო (სამაზრო) აღმასრულებელ კომიტეტებთან შეფთა ბიუროების დებულებების შეცვლის შესახებ.
- „ 127. ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფარგლებში არსებულ სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა საურთიერთო ანგარიშ-გასწორების შესახებ.
- „ 128. კოლექტიურ ხელშეკრულებათა რეგისტრაციის წესის შეცვლის შესახებ.
- „ 129. საჯარო ანგარიშების და სავალდებულო პუბლიკაციის წესის შესახებ.
- „ 130. ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში სახელმწიფო მონოპოლიის საფუძველზე ზომა-წონის მეტრიული სისტემის შემოღების ღონისძიებათა გაერთიანების შესახებ.
- „ 131. ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს სასარგებლოდ მიწების მორაწყვისათვის არსებული ნატურალური გამოსადგების გაუქმების შესახებ.
- „ 132. შვეიცარიის მოქალაქეთა საწინააღმდეგო ღონისძიებათა შესახებ.
- „ 133. საჯარო სანაზაობათა და გასართობთა გადასახადის შესახებ.
- „ 134. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის არა პირიან გადამხდელთათვის ადმინისტრაციული სასჯელის დადების შესახებ.
- „ 135. ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან ამიერკავკასიის სამეცნიერო ასოციაციის მოწყობის შესახებ—კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის შესასწავლად.
- „ 136. კანონპროექტების წარდგენის შესახებ.
- „ 137. ამიერკავკასიის დამშვეული რაიონებისათვის შეწირულ და გადადებულ ტვირთთა გადაზიდვისა და მათ გამოვლ პირთა ამიერკავკასიის რკინისგზით რონინების შესახებ.
- „ 138. სახალხო კავშირის მომუშავეთა დემობილიზაციის შესახებ აზერბაიჯანის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკაში.
- „ 139. საღებრო ნიშნებისა და სხვა ქალაქების გაყიდვის შესახებ ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებებში.
- „ 140. სამეურნეო ორგანოების მიერ სავაჭრო საქმისათვის უცხოეთში წარმომადგენელთა წარვლინების წესის შესახებ.
- „ 141. ამიერკავკასიის რკინის ზეგზისადმი გადასახადის დაბრუნების თაობაზე საჩუქრისა და მოთხოვნის აღძვრის ვადის შემცირების შესახებ.



- მუხ 142. ამიერკავკასიის რკინის გზაზე მოძრაობის წესიერებისა და უშიშროების დაცვის შესახებ.
- „ 143. ამიერკავკასიის და რესპუბლიკანური სოფლის მეურნეობისა და სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის დახმარების კომიტეტების მოწყობისა და სასოფლო-სამეურნეო კრედიტის საზოგადოებათა ორგანიზაციის შესახებ.
- „ 144. ადგილობრივი გადასახადისა და გამოსაღებისათვის უკიდურესი განაკვეთის დაწესების შესახებ ჩერვონეცის მანეთით.
- „ 145. მიმღებ-გადაემცი და მიმღები რადიო-სადგურის მქონებლობის აკრძალვის შესახებ ყოველი პირისა და დაწესებულებისათვის.
- „ 146. ადგილობრივი გადასახადის წესების შესახებ სამრეწველო ბაღებისა და ბოსტნებისათვის.
- „ 147. აქციზის დაწესების შესახებ შირის კალოშებზე.
- „ 148. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრფისათვის რაიონების განაწილების შესახებ.
- „ 149. წესი საქმეთა წარმოებისა უმაღლეს საარბიტრაჟო კომისიაში (უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან) და რესპუბლიკანურ საარბიტრაჟო კომისიებში.
- „ 150. სომხეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკის რაიონებად დანაწილების შესახებ ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრფისათვის.
- „ 151. შეღავათის შესახებ ხრულიად რუსეთის 1923 წ. სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე გლეხთა მეურნეობისათვის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადახდებიანებაში.
- „ 152. ამიერკავკასიის რკინისგზის საწონ ხელსაწყოთა ჩამოთრების შესახებ სახელმწიფო დაწესებულებათა, სახელმწიფო საწარმოთა, საზოგადოებრივი და კერძო ორგანიზაციათა და კერძო პირთათვის.
- „ 153. დროებითი დებულების შესახებ საბაჟო სამმართველოსათვის.
- „ 154. შირის კალოშებზე აქციზის დაწესების შესახებ ამიერკავკასიის ფულის ნიშნებით.
- „ 155. საერთო-სახელმწიფო და სახელმწიფო შემოსავალთა შეტანის შესახებ ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ოფინანსთა სახალხო კომისარიატის სალაროში.
- „ 156. რაიონების კატეგორიებად განაწილების შესახებ მოსავლიანობის მიხედვით.

დეკრეტი ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისარიატის საბჭოში.

1923 წლის ივნისის 2.

125. უძრავი ქონების ცეცხლისაგან სავალდებულო საგადანაკვეთო დაზღვევის შესახებ.

ამიერკავკასიის რესპუბლიკათა საკავშირო საბჭოს მიერ 1922 წლის სექტემბრის 16-ს თარიღით გამოცემული დეკრეტის განსავითარებლად ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისარიატის საბჭო ადგენს:

შემოღებულ იქნეს ამიერკავკასიის სოც. ფედერატიული საბჭ. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკათა ქალაქებში, სოფლებში, კოლონიებში და სხვა დასახლებულ ადგილებში უძრავი ქონების სახელმწიფო სავალდებულო საგადანაკვეთო დაზღვევა ცეცხლისაგან.

მუხ. 1. ქონებრივი სახელმწიფო სავალდებულო საგადანაკვეთო დაზღვევა პირველ რიგში შემოღებულ იქნეს ქალაქებისა და ქალაქური ტიპის დასახლებულ

ლი ადგილებისათვის, ვადით ამა 1923 წლის ივნისის 1-დან ამავე წლის სექტემბრის 30-დე.

მუხ. 2. ქონებრივი სახელმწიფო სავალდებულო საგადანაკვეთო დაზღვევა გავრცელდება ყველა არამუნციპალიზაციაქმნილ ნაგებობაზე, რაც ეკუთვნის კერძო პირს და აგრეთვე ამხანაგობას, საზოგადოებას, არტელს, კომუნას და სხვა კოლექტივს.

შენიშვნა: კოოპერატიული ორგანიზაციებისა და მათი შენაერთების კუთვნილი ქონება, უკეთუ არ არის მიქცეული კოოპერატივთა საერთოერთო დაზღვევისათვის, აუცილებლად უნდა იქნეს სახელმწიფო დაზღვევით დაზღვეული. ხოლო ქონება, რაც მთავრობის ორგანოების მიერ გადაცემული აქვს კოოპერატიულ ორგანიზაციებს და მათ შენაერთებს საიჯარო ან სხვა სახის დროებით სარგებლობაში, ყოველ შემთხვევაში, აუცილებლად უნდა იქნეს სახელმწიფო დაზღვევით დაზღვეული.

მუხ. 3. ქონებრივი სახელმწიფო სავალდებულო საგადანაკვეთო დაზღვევა შემოღებულ იქნეს რუსეთის სოც. ფედ საბჭ. რესპუბლიკის სახელმწიფო ბანკის ბანკნოტების (ჩერვონცები) გამოანგარიშებით; ამასთანავე სადასაზღვევო უზრუნველყოფა ქალაქებისა და ქალაქური ტიპის დასახლებული ადგილებისათვის დაწესებულ იქნეს ნაგებობის კუბიკური სივრცით, შემდეგი რაოდენობით თვითნებულ კუბზე:

ა. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკაში, აჭარისტანის ავტონომიურ რესპუბლიკაში და მოკავშირე აფხაზეთის რესპუბლიკაში.

ტფილისი—საცხოვრებელი ნაგებობა ქვისა 2,0 ჩერვონცი.

ბათომი—საცხოვრებელი ნაგებობა შერეული 1,5 ჩერ.

სოხუმი—საცხოვრებელი ნაგებობა ხისა 1,0 ჩერვონცი.

ქუთაისი—არასაცხოვრებელი ნაგებობა ქვისა 0,5 ჩერვონ. შერეული 0,4 ჩერვონ. ხისა 0,3 ჩერ.

აღმოსავლეთ საქართველოს და აფხაზეთის ქალაქებში: საცხოვრებელი ნაგებობა ქვისა 1,3 ჩერვონცი. შერეული 1,0 ჩერვონ. ხისა 0,7 ჩერვონცი.

არა-საცხოვრებელი ნაგებობა ქვისა 0,4 ჩერვონცი. შერეული 0,3 ჩერ. ხისა 0,2 ჩერვონცი.

დასავლეთ საქართველოსა და აჭარისტანის ქალაქებში:

საცხოვრებელი ნაგებობა ქვისა 1,2 ჩერვონცი. შერეული 0,8 ჩერ. ხისა 0,3 ჩერვონცი. არა-საცხოვრებელი ნაგებობა ქვისა 0,4 ჩერვ. შერეული 0,3 ჩერ. ხისა 0,2 ჩერ.

ბ. აზერბაიჯანისა და ნახიჩევანის რესპუბლიკებში.

ბაქო, განჯა—საცხოვრებელი ნაგებობა ქვისა 2,0 ჩერვონ. შერეული 1,4 ჩერ. ხისა 1,2 ჩერ. არასაცხოვრებელი ნაგებობა ქვისა 0,6 ჩერ. შერეული 0,4 ჩერ. ხისა 0,3 ჩერვონ.

კუბა, ლენქორანი—საცხოვრებელი ნაგებობა ქვისა 1,4 ჩერ. შერეული 1,0 ჩერ. ხისა 0,8 ჩერვონეცი. არასაცხოვრებელი ნაგებობა ქვისა 0,4 ჩერ. შერეული 0,3 ჩერ. ხისა 0,2 ჩერვონეცი.

გ. სომხეთის რესპუბლიკაში.

ერევანი, ალექსანდროპოლი—საცხოვრებელი ნაგებობა ქვისა 2,0 ჩერვონ. შერეული 1,2 ჩერ. ხისა 1,2 ჩერვონეცი. არასაცხოვრებელი ნაგებობა ქვისა 0,6 ჩერვონ. შერეული 0,3 ჩერვონ. ხისა 0,3 ჩერ.

ვორონცოვკა—საცხოვრებელი ნაგებობა ქვისა 1,6 ჩერ. შერეული 1,0 ჩერვონეცი. ხისა 1,0 ჩერ.

არასაცხოვრებელი ნაგებობა ქვისა 0,6 ჩერ. შერეული 0,3 ჩერ. ხისა 0,3 ჩ. ვალარშაპატი, კარაკლისი, ჯალალ-ოღლი—საცხოვრებელი ნაგებობა ქვისა 1,4 ჩერ. შერეული 1,0 ჩერ. ხისა 0,8 ჩერვონ. არასაცხოვრებელი ნაგებობა ქვისა 0,4 ჩერ. შერეული 0,2 ჩერ. ხისა 0,2 ჩერ.

შენიშვნა 1. უკეთუ უძრავი ქონების მფლობელი ან მისი კანონიერი განმკარგულებელი მოისურვებს დააზღვეოს აღნიშნული ქონება იმ ნორმის ზევით, რაც განსაზღვრულია სავალდებულო საგადანაკვეთო დაზღვევისათვის,—ასეთი ქონება შეიძლება მიღებული იქნეს დასაზღვევად დამატებით—ნებაყოფლობითი დაზღვევის წესების საერთო საფუძველზე.

შენიშვნა 2. სავალდებულო საგადანაკვეთო დაზღვევას არ ექვემდებარება:

ა) დაძვეებული ნაგებობა, დანგრეული, რომელიც ვერ შეასრულებს რაიმე სამეურნეო დანიშნულებას და აგრეთვე საცხოვრებელი, დაუსახლებელი ნაგებობა, რომელსაც ამასთანავე არავინ იცავს; ბ) ნაგებობა, რაც ხელისუფლების განკარგულებით მოშლილი უნდა იქნეს. ნიშნები, რომლის მიხედვითაც ნაგებობა ექვემდებარება სავალდებულო საგადანაკვეთო დაზღვევას, განისაზღვრება სათანადო აქტში სახელმწიფო დაზღვევის წარმომადგენლისა და სახლის მეპატრონესაგან, ხოლო უკეთუ უკანასკნელი სხვაგან იმყოფება—ადგილობრივი ადმინისტრაციის წარმომადგენლისაგან.

მუხ. 4. საგადანაკვეთო დაზღვევის წესით ქალაქების დასაზღვევ ქონებათა რეგისტრაცია და მათი გარეგანი გაზომვა თვითეულ ნაგებობის კუბიკური სივრცის განსაზღვრისათვის მოხდება სპეციალურად საამისოდ რწმუნება-მოსილ და სათანადო მოწმობებით აღჭურვილ ამიერკავკასიის სახელმწიფო დაზღვევის რეგისტრატორების მიერ სახლის მეპატრონეთა ან სახლის მფლობელობისათვის პასუხისმგებელი პირის თანადასწრებით; ამასთანავე აღნიშნულ პირთა დაუსწრებლობა ვერ შეაჩერებს რეგისტრატორის მუშაობას.

შენიშვნა. უკეთუ საქიროება მოითხოვს, მილიციის წარმომადგენელნი ვალდებულ არიან ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ რეგისტრატორებს მათთვის მინდობილ მუშაობაში.

მუხ. 5. საგადანაკვეთო დაზღვევის პრემია დაწესებულ უნდა იქნეს სავალდებულო დაზღვევის მიხედვით უძრავი ქონების ცეცხლისაგან დაწვის წესებისა

და ტარიფების საფუძველზე; მთელი სადასაზღვეო პერიოდისათვის 1923 წ. სექტემბრის 30-დღე პრემია გადახდევინებულ უნდა იქნეს ნახევარ-წლიური რაოდენობით.

პრემია აღირიცხება ბანკოტებად (ჩერვონცებით) და შეტანილ უნდა იქნეს ამიერკავკასიის ბონეზით ან ჩერვონცებით.

მუხ. 6. სადასაზღვეო სასყიდლის შესატანად დადგენილ უნდა იქნეს ერთი თვის ვადა—დაზღვევის დაწყებიდან, ე. ი. 1923 წ. ივნისის 1-დან ივნისის 30-დღე; ამა ვადის ვასვლის შემდეგ, 1923 წ. ივნისის 1-დან დაწყებული, მიერიცხება საურავი 10 პროც. რაოდენობისა თვითეული ვადა-გადაცილებული ორ კვირისათვის.

უკეთუ სადასაზღვეო სასყიდელი შეტანილი არ იქნება პირველი ორი თვის განმავლობაში დაზღვევის დაწყებიდან, პრემია-მირიცხული საურავითურთ გადახდევინებულ უნდა იქნეს, —1923 წ. აგვისტოს 1-დან დაწყებული, —უდავო გადახდევინების წესისამებრ.

მუხ. 7. იმ შემთხვევაში, როდესაც პრემია ამიერკავკასიის ბონეზით იქნება გადახდილი, პრემია აღირიცხულ უნდა იქნეს ბანკოტების (ჩერვონცების) ოფიციალური კურსით, რაც გადახდის დღეს იყო.

მუხ. 8. ცეცხლისაგან მიყენებული ზარალი ბანკოტებად (ჩერვონცებად) აღირიცხება და სადასაზღვეო საზღაური მიცემულ უნდა იქნეს ამიერკავკასიის ბონეზით ბანკოტების (ჩერვონცების) ოფიციალური კურსით, რაც იქნება მიცემის დღეს იმ უახლოეს ცენტრში, სადაც იგი კურსი გამოქვეყნდება ხოლმე.

იმათვის, ვისაც სადასაზღვეო გადასახადი არ შეუტანია ცეცხლის გაჩენამდე, ზარალი და აგრეთვე პრემია-საურავითურთ—აღირიცხება ბანკოტების (ჩერვონცების) ოფიციალური კურსით, რაც იყო დაზღვევის დაწყების დღეს, ე. ი. 1923 წ. ივნისის კურსით.

მუხ. 9. ამა თუ იმ ვადამხდელზე მირიცხული სხვა და სხვა გვარი გადასახადის ნარჩენების დასაფარავად შემოსული თანხებიდან პირველ რიგში დაფარულ უნდა იქნეს სავალდებულო სავადანაკვეთო დაზღვევის ვადაზე გადაუხდელი სასყიდლის ნარჩენი სრულ გასწორებამდე.

მუხ. 10. სავადანაკვეთო სადასაზღვეო პრემია გადახდილ უნდა იქნეს სადასაზღვეო ფურცლების თანახმად, რაც შედგენილი იქნება მე-4, 5, 6, 7 და 8 მუხ. აღნიშნული წესისამებრ და ვადამხდელს მიეცემა სათანადო ქვითარი გადასახდელის მიღების შესახებ.

მუხ. 11. სავადანაკვეთო სადასაზღვეო გადასახდელი სახლის პატრონების ან სახლის მფლობელობისათვის პასუხისმგებელი პირის მიერ შეტანილ უნდა იქნეს: ტფილისში სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოს კასაში, ხოლო დანარჩენ ქალაქებში—სახელმწიფო დაზღვევის ადგილობრივი ორგანოებისა და აგენტების კასაში.

მუხ. 12. ყოველი დამაზღვეველი, უკეთუ მის ქონებას ცეცხლი გაუჩნდება, მიიღებს საზღაურს სრულიად, რაც ერგება დამწვარი ქონებისათვის, რაიმე გადასახადის გამოურიცხველად, გარდა სადასაზღვეო გადასახადისა.

მუხ. 13. სადასაზღვეო საზღაურით მესამე პირთა პრეტენზიების დაკმაყოფილება არ შეიძლება, თვინიერ სასამართლოს დადგენილებებისა; აგრეთვე არ შეიძლება მისი კონფისკაცია და რეკვიზიცია. უკეთეს დაზღვეული ქონებით უზრუნველყოფილია სესხი ან ავანსი, გაცემული ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის საკრედიტო დაწესებულებების მიერ, და აგრეთვე სხვა სახელმწიფო დაწესებულების მიერ, ან და სახელმწიფო ქონება კერძო პირის თუ დაწესებულების სარგებლობაშია იჯარით, — სადასაზღვეო საზღაური, — ენიცობაა ამ ქონებას უბედურება შეემთხვევა, — მიეცემა პირველ შემთხვევაში კრედიტის გამცემ დაწესებულებას, ხოლო მეორე შემთხვევაში — მესაკუთრე სახელმწიფოს.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი**.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის

სახ. კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **მ. პოლისი**.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ.

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **გ. სარუხანოვი**.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წ. ივნისის 10-ს თარიღის 131 №-ში.

დადგენილება ამიერკავკასიის სახალხო-სრულმხარე კომისარებისა.

1923 წლის ივნისის 11.

126. ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან საშეფო საქმის რესპუბლიკანური კომისიებისა და საქალაქო (სამაზრო) აღმასრულებელ კომიტეტებთან შეფთა ბიუროების დაარსების დებულების 5 მუხლის 1-ლი შენიშვნისა და 12 მუხლის შეცვლის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1923 წლის აპრილის 16-ს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან საშეფო საქმის რესპუბლიკანური კომისიებისა და საქალაქო (სამაზრო) აღმასრულებელ კომიტეტებთან შეფთა ბიუროების მოწყობის შესახებ დამტკიცებული დებულების 5 მუხლის 1-ლი შენიშვნა და მე-12 მუხლი შეიცვალოს შემდეგი რედაქციით:

შენიშვნა 1. საჩივარი საშეფო საქმის რესპუბლიკანური კომისიის დადგენილებისა და განკარგულების შესახებ — რესპუბლიკანური ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის (აზერბაიჯანისა, სომხეთისა და საქართველოსი) მეშვეობით — წარედგინება ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ საშეფო საქმის საბჭოს, რომლის გადაწყვეტილებაც საბოლოოდ ჩაითვლება.

მუხლი 12. საშეფო საქმის რესპუბლიკანური კომისიები და საქალაქო (სამაზრო) შეფთა ბიუროები ყოველთვიურად წარუდგენენ თავიანთი მოქმედების ანგარიშს სათანადო ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს და აღმასრულებელ კომიტეტებს გარდა ამისა, საქალაქო (სამაზრო) ბიუროები—რესპუბლიკანური კომისიებს; ხოლო რესპუბლიკანური კომისიები—რესპუბლიკანური ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების (ანგერბაიჯანისა, სომხეთისა და საქართველოსი) მეშვეობით—ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ საშეფო საქმის საბჭოს.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი თალიბლი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წ. ივნისის 15-ს თარიღის 135 №-ში.

დადგენილება № 56 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წლის ივნისის 16.

127. ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფარგლებში არსებულ სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა სა- სურთიერთო ანგარიშ-გასწორების შესახებ.

საკავშირო საბჭოს მიერ სახელმწიფო საწარმოთა და დაწესებულებათა სა-
კასო ოპერაციების შესახებ 1922 წლის დეკემბრის 25-ს თარიღითა და 66
ნომრით გამოცემული დადგენილების 2 და 3 მუხლის შესაცვლელად და განსა-
ვითარებლად—ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. სურთიერთ შორის ანგარიშის გასწორების საწარმოებლად ყველა სახელმ-
წიფო დაწესებულება, სახელმწიფო საწარმო, სინდიკატი, ტრესტი, კომბინატი
და სხვ. შენაერთი და მათი ფილიალური განყოფილება, კონტორა და სააგენ-
ტო, რაც არსებობს ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტო-
რიაზე, და აგრეთვე ყველა კომუნალური დაწესებულება და საწარმო—ვალდებ-
ებულია იყოს წევრი საურთიერთო ანგარიშ-გასწორების განყოფილებისა, რომე-
ლიც დაარსებულია სახელმწიფო ბანკის ამიერკავკასიის საოლქო კონტორასთან
და იმავე ბანკის სხვა კონტორასთან და განყოფილებასთან ამიერკავკასიის სხვა-
დასხვა ქალაქებში. გარდა ამისა, სახელმწიფო ბანკის ამიერკავკასიის საოლქო
კონტორისა ან კონტორებისა და განყოფილებათა თანხმობით საურთიერთო
ანგარიშ-გასწორების განყოფილების წევრად შეიძლება იყოს დიდი კოოპერა-
ტიული შენაერთი, საზოგადოებრივი ორგანიზაცია, შერეული საზოგადოება და
კერძო სამეურნეო საწარმო.

2. საურთიერთო ანგარიშ-გასწორების განყოფილების თვითულ წევრს
„საურთიერთო ანგარიშ-გასწორებისათვის“ გაეხსნება განყოფილების საპირადო

დაეთარში პირობითი მიმდინარე ანგარიში, რომლიდანაც არ შეიძლება გაიცეს რა-მე ნაღდი ფულის ნიშნებით. თვითეული წევრი მიიღებს საურთიერთო ანგარიშ-გასწორების განყოფილებისაგან სპეციალურ ჩეკის წიგნაკს იმ უფლებით, რომ გამოსწეროს ხოლმე ჩეკი იმ თანხის რაოდენობისა, რაც არის მის „საურთიერ-თო ანგარიშ-გასწორების“ პირობითი მიმდინარე ანგარიშზე.

3. საწარმოთა ან დაწესებულებათა „საურთიერთო ანგარიშ-გასწორების“ პირობითი მიმდინარე ანგარიშის კრედიტში შედის:

ა) სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთაგან, რომელთაც ფინანსური საშუალებანი ეძლევათ სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე, — უწყებული ნაწილი იმ თანხისა, რაც თვითეული ამა თუ იმ უწყების აღრიცხვით განზრახუ-ლია მიეცეს ამა თუ იმ დაწესებულებას ან საწარმოს მისი საოპერაციო და სა-მეურნეო ხარჯებისათვის და რასაც ფედერატიულ უწყებათა, დაწესებულებათა და საწარმოთათვის განსაზღვრავს ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისა-რიატი, ხოლო რესპუბლიკანურათათვის — ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კო-მისარიატის სათანადო რწმუნებულები, განსაკუთრებულ კომისიათა დადგენილ-ების მიხედვით; ეს კომისიები შესდგება ამიერკავკასიის ფინანსთა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატებისა, სახელმწიფო ბანკის ამიერ-კავკასიის საოლქო კონტორისა და დაინტერესებული უწყების წარმომადგენელ-თაგან.

უკეთეს უწყებანი ვერ შეთანხმდებიან, საკითხს საბოლოოდ გადაწყვეტს ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს საფინანსო კომიტეტი ან ცალკე რესპუბლიკათა სახალხო კომისართა საბჭო — ქუთუნებისამებრ;

ბ) სახელმწიფო მირავიდან მოხსნილ სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთაგან, კომუნალურ დაწესებულებათა და საწარმოთაგან, დიდ კოოპერატიულ შენაერთთაგან და აგრეთვე დიდ კერძო სამეურნეო საწარმოთა-გან — თანხა, რომლის რაოდენობასაც და რომლის პირობითი მიმდინარე ანგა-რიშზე გადარიცხვის ვადებსაც ყოველთვიურად თითონვე განსაზღვრავენ სახელმ-წიფო ბანკის ამიერკავკასიის საოლქო კონტორასთან ან სათანადო კონტორებ-თან და განყოფილებებთან შეთანხმებით;

გ) თანხა, რასაც სახელმწიფო ბანკის ამიერკავკასიის საოლქო კონტორა ან კონტორები და განყოფილებანი ჩარიცხავენ საურთიერთო ანგარიშ-გასწო-რების განყოფილების პირობითი მიმდინარე ანგარიშებზე ნაწილობრივ დასა-კმაყოფილებლად მის მიერ გახსნილი კრედიტებიდან კლიენტებთან შეთანხმებუ-ლი რაოდენობით.

4. შემდეგში საკრედიტო ნაწილი შეიძლება შეიგოს:

ა) „საურთიერთო ანგარიშ-გასწორების“ პირობითი მიმდინარე ანგარიშის ჩეკებით, რასაც ამა თუ იმ დაწესებულებას ან საწარმოს მისცემს ესა თუ ის სხვა დაწესებულება ან საწარმო, რომელიც ითვლება საურთიერთო ანგარიშ-გასწორების განყოფილების წევრად;

ბ) უბრალო და სპეციალური მიმდინარე ანგარიშის ჩეკებით სახელმწიფო ბანკის სახელზე.

5. საწარმოს ან დაწესებულების „საურთიერთო ანგარიშ-გასწორების“ პირობითი მიმდინარე ანგარიშის დებეტში ჩაიწერება საურთიერთო ანგარიშ-გასწორების განყოფილების სხვა წევრის მიერ წარდგენილი ჩეკი მისი პირობითი მიმდინარე ანგარიშისა.

6. რათა საურთიერთო ანგარიშ-გასწორების განყოფილების ტრიალი გამოყოფილ იქნეს სახელმწიფო ბანკის საერთო ტრიალიდან,—საურთიერთო ანგარიშ-გასწორების განყოფილების დავთრებში წევრთა პასიურ საპირადო ანგარიშებთან ერთად გაიხსნება სამი აქტიური ანგარიში, სახელდობრ:

ა) ანგარიში ამიერკავკასიის ფინანსთა სახ. კომისარიატისა—პირობითი მიმდინარე ანგარიშების დაფარვის თანხებისათვის;

ბ) ანგარიში სახელმწიფო ბანკის ამიერკავკასიის საოლქო კონტორისა—მის მიერ მიმდინარე ანგარიშებზე ჩარიცხული თანხებისათვის;

გ) მიმდინარე ანგარიში საურთიერთო ანგარიშ-გასწორების განყოფილებისა (უბრალო) სახელმწიფო ბანკში.

7. საურთიერთო ანგარიშ-გასწორების განყოფილების წევრთა ურთიერთი მოთხოვნის ჩარიცხვა მოხდება თვითეული მათგანის მიერ ანგარიშ-გასწორების განყოფილებაში წარდგენილი იმ ჩეკების საშუალებით, რაც მიღებული იქნება ყველა დანარჩენი წევრისაგან.

შენიშვნა. ჩარიცხვის ტეხნიკა (წარდგენის წესი, ჩეკის შემოწმება, მისი აკცეპტი, მისი ჩაწერა დავთარში, უწყებების წარმოება და სხვ.) სწარმოებს ცალკე წესების საფუძველზე, რასაც შეიმუშავებს სახელმწიფო ბანკის ამიერკავკასიის საოლქო კონტორა და დაამტკიცებს ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატი. აღნიშნული წესები ეცნობება საურთიერთო ანგარიშ-გასწორების განყოფილების ყველა მონაწილეს; მათი აღსრულება სავალდებულოა ყოველი მონაწილესათვის.

8. ამიერკავკასიის საოლქო კონტორა, კონტორები და განყოფილებანი სახელმწიფო ბანკისა ყოველთვიურად 1-სა და 16-ს რიცხვს გაუგზავნიან ამიერკავკასიის ფინანსთა სახ. კომისარიატის საბიუჯეტო სამმართველოს ან იმავე კომისარიატის სათანადო რწმუნებულთ თვითეული ანგარიშის ტრიალის დაწვრილებითი ამონაწერს, რომლის მიხედვითაც ფინანსთა სახ. კომისარიატის აღნიშნული დაწესებულებანი მოახდენენ განკარგულებას მათ ანგარიშზე ქონებული კრედიტებიდან სათანადო თანხის ჩამოწერის შესახებ და სახელმწიფო ბანკის ამიერკავკასიის საოლქო კონტორისა, კონტორებისა და განყოფილებათა ნაღდი ფულის ნიშნებით გამაგრების შესახებ.

9. ამიერკავკასიის საოლქო კონტორა, კონტორები და განყოფილებანი სახელმწიფო ბანკისა ასევე ყოველთვიურად, 1-სა და 16-ს რიცხვს, შეიტანენ ნაღდი ფულის ნიშნებით ამა დადგენილების 3 მუხლის „გ“ პუნქტით გათვალისწინებულ თანხას და ამ გზით ინკასაციაქმნილი თანხები—იმ თანხის ჩათვლით, რაც საურთიერთო ანგარიშ-გასწორების განყოფილების მიმდინარე ანგარიშზე დაგროვდება სახელმწიფო ბანკის ამიერკავკასიის საოლქო კონტორაში, კონტორებში და განყოფილებებში,—განაწილება თანაბრად საურთიერთო ან-

გარიშ-გასწორების განყოფილების წევრთა საკრედიტო ნაშთისა და მიეკუთვნება მათ უბრალო (ფულადი) მიმდინარე ანგარიშებს სახელმწიფო ბანკის სათანადო დაწესებულებებში, საიდანაც საურთიერთო ანგარიშ-გასწორების განყოფილების მონაწილენი მიიღებენ ფულს საერთო წესით დაუბრკოლებლად.

შენიშვნა. პირობითი მიმდინარე ანგარიშის ნაშთის გადატანა სახელმწიფო ბანკის ამიერკავკასიის საოლქო კონტორისა, კონტორებისა და განყოფილებათა სათანადო კლიენტების უბრალო მიმდინარე ანგარიშებზე — არ გავრცელდება იმ კლიენტებზე, რომელთაც ფინანსიური საშუალებანი ეძლევათ სახელმწიფოს მიერ აღრიცხვის წესით; ამ გატეგორიის კლიენტთა კრედიტების ნაშთი გადაიტანება იმ ანარიცხის ანგარიშში, რაც მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად მოხდება ახალი პერიოდისათვის.

10. პირობითი მიმდინარე ანგარიშს პროცენტები არ მიერიცხება.

11. საურთიერთო ანგარიშ-გასწორების განყოფილების ოპერაციები არ შედის სახელმწიფო ბანკის ამიერკავკასიის საოლქო კონტორისა, კონტორებისა და განყოფილებათა ბალანსში.

12. საერთო — სახელმწიფო ამიერკავკასიის ბიუჯეტის ხარჯზე ფინანსირად ხელგამართულ სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა მიმდინარე ანგარიშების ანგარიშ-წარმოებისა და ანგარიშების წესს, რაც უზრუნველყოფს პირობითი მიმდინარე ანგარიშებზე გადარიცხულ სააღრიცხვო კრედიტების სწორ აღსრულებას, მათი არა პირდაპირი დანიშნულებისათვის მიქცევის გარეშე და რაც, აგრეთვე, უზრუნველყოფს მუდმივ კონტროლს მათი აღსრულებისათვის, — შეიმუშავებს ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატი ამიერკავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

13. ყველა ხარჯს საურთიერთო ანგარიშ-გასწორების განყოფილებათა შენახვისათვის გასწევს რუსეთის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახელმწიფო ბანკი.

14. დადგენილება ესე შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის

სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **მ. პოლის.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **გ. სარუხანოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წლის ივნისის 19-ს თარიღის 138 №-ში.



დადგენილება № 59 შრომის სახალხო კომისარიატისა

1923 წლის ივნისის 18.

128. კოლექტიურ ხელშეკრულებათა რეგისტრაციის წესის შეცვლის შესახებ.

ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის მიერ კოლექტიურ ხელშეკრულებათა რეგისტრაციის წესის შესახებ 1922 წლის სექტემბრის 30-ს თარიღითა და 13 №-ით გამოცემული დადგენილების 1-ლი მუხლის შესაცვლელად ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

დაევალოს მხარეებს, რომელთაც კოლექტიური ხელშეკრულებანი შემოაქვთ რეგისტრაციისათვის შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოებში, — წარმოადგინონ ხოლმე ამ ხელშეკრულებათა ასლი ოთხ ცალად.

ამიერკავკასიის შრომის

სახალხო კომისარი **ბახუტოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წლის ივნისის 20-ს თარიღის 139 №-ში.

დადგენილება № 57 აშიარკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისარიატის საბჭოსი.

1923 წლის ივნისის 21.

129. საჯარო ანგარიშგებისა და სავალდებულო პუბლიკაციის წესის შესახებ.

სავაჭრო-სამრეწველო კრედიტის განსამტკიცებლად და სახელმწიფო, კოოპერატიული და კერძო დაწესებულებებისა და საწარმოებისათვის სავალდებულო პუბლიკაციათა მოსაწესრიგებლად — ამიერკავკასიის სოც.-ფედ. საბჭოს რესპუბლიკის სახალხო კომისარიატმა საბჭო ადგენს:

1. საჯარო ანგარიშგებისათვის ვალდებულია ამიერკავკასიის სოც.-ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფარგლებში არსებული შემდეგი სახელმწიფო, კოოპერატიული და კერძო დაწესებულება და საწარმო:

ა. საკრედიტო დაწესებულებანი — სახელმწიფო, კოოპერატიული, საზოგადოებრივი და კერძო (სახელმწიფო ბანკი, სახალხო ბანკი, სააქციო ბანკი, საურთიერთო კრედიტის საზოგადოება და სხვ.), გარდა შემნახველ-გამსესხებელი და საკრედიტო კოოპერატიული ამხანაგობისა.

ბ. დაზღვევის დაწესებულებანი (სახელმწიფო დაზღვევა).

გ. სააქციო საზოგადოებანი და საპაიო ამხანაგობანი, მათ შორის შერეული ტიპის საზოგადოებანიც, რომელნიც მოქმედებენ წესდების საფუძველზე, და

საეპრო-სამრეწველო ამხანაგობანი, რომელნიც მოქმედებენ ხელშეკრულების საფუძველზე, იმ პირობით, უკეთეს ხელშეკრულებითი ამხანაგობის საფირმო კაპიტალი რუსეთის სოც.-ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახელმწიფო ბანკის ჩერგონცებით ოცდახუთი ათას მანათზე ნაკლები არ არის დაწესებული კურსისამებრ.

დ. სახელმწიფო საწარმოთა ყოველი სახის შენაერთი (სინდიკატი, ტრესტი და სხვ.), როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი, რაც არის ამიერკავკასიის სოც.-ფედ. საბჭ. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სამეურნეო სახალხო კომისარიატების ორგანოთა გამგებლობაში, ყოველი სახელმწიფო საწარმო და დაწესებულება, რომელიც მოქმედებს განსაკუთრებული დებულებისა, წესდებისა და წესების საფუძველზე (თამბაქოს ტრესტი, ღვინის სახელმწიფო ტრესტი, ამიერკავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველო, „ამიერკავკასიის პური-პროდუქტი“ და სხვ.).

ე. კოოპერატიული შენაერთი ამიერკავკასიისა და რესპუბლიკათა მისშტაბით (ამიერკავკასიის ცენტრო-კავშირი, ერთიანი მუშათა კოოპერატივი, სომხეთის კოოპერატივი და სხვ.)

ვ. შენაერთი და კერძო პირი, რომელთაც აღებული აქვთ იჯარით სახელმწიფო საწარმო, უკეთეს ეს უკანასკნელი იჯარით გაცემის დროს შეფასებულია ორმოცდა ათი ათას მანათზე მეტად ჩერგონცებით, დაწესებული კურსისამებრ.

2. ამა დადგენილების 1-ლი მუხლის „ა“ ლიტერაში აღნიშნულმა ყველა დაწესებულებამ უნდა გამოაქვეყნოს: წესდების დამტკიცების დრო იმ ორგანოს აღნიშვნით, რომელმაც იგი დაამტკიცა; თვითური ბალანსი, არა უგვიანეს ორი კვირისა საანგარიშო თვის გასვლის შემდეგ; საბოლოო წლიური ბალანსი, ანგარიშების მოკლე ამონაწერებით და მოგების განაწილების ცნობებით, არა უგვიანეს სამი თვისა საანგარიშო წლის გასვლის შემდეგ; აქტიური და პასიური ოპერაციების პროცენტული განაკვეთის რაოდენობა და მისი ცვლილებანი; ახალი ოპერაციების შემოღება, მათი პრინციპის აღნუსხვით; ლიკვიდაციის დაწყება და მისი დამთავრება.

3. 1-ლი მუხლის „ბ“ ლიტერაში აღნიშნულმა ყველა დაწესებულებამ უნდა გამოაქვეყნოს: საბოლოო წლიური ბალანსი ანგარიშთა ამონაწერებით; შემოღება ოპერაციებისა დახლევის ახალი სახისათვის წესების ამონაწერით; განყოფილებისა და კონტორის გახსნა.

4. 1-ლი მუხლის „გ“ ლიტერაში აღნიშნულმა ყველა საზოგადოებამ და ამხანაგობამ უნდა გამოაქვეყნოს: წესდების დამტკიცების დრო, იმ ორგანოს აღნიშვნით, რომელმაც იგი დაამტკიცა, ხოლო საეპრო-სამრეწველო ამხანაგობამ—რეგისტრაციის დრო, იმ დაწესებულების აღნიშვნით, რომელმაც რეგისტრაცია მოახდინა; საბოლოო წლიური ბალანსი, ანგარიშების მოკლე ამონაწერებით და მოგების განაწილების ცნობებით, არა უგვიანეს სამი თვისა; ცნობა ლიკვიდაციის შესახებ.

5. 1-ლი მუხლის „დ“ ლიტერაში აღნიშნულმა ყველა სახელმწიფო საწარმომ და დაწესებულებამ უნდა გამოაქვეყნოს: ექვსი თვის ბალანსი, არა უგვიან-

ნეს თვენახევრისა; საბოლოო წლიური ბალანსი ანგარიშების მოკლე ამონაწერებით, არა უგვიანეს სამი თვისა; ცნობა ლიკვიდაციის შესახებ.

6. 1-ლი მუხლის „ე“ ლიტერაში აღნიშნულმა ყველა კოოპერატიულმა ორგანიზაციამ უნდა გამოაქვეყნოს: ნახევარი წლის ბალანსი და საბოლოო წლიური ბალანსი ანგარიშების მოკლე ამონაწერებით და მოგების განაწილების ცნობებით, არა უგვიანეს სამი თვისა; ცნობა ლიკვიდაციის დაწყებისა და მისი დამთავრების შესახებ.

7. 1-ლი მუხლის „ვ“ ლიტერაში აღნიშნულმა ყველა კერძო საწარმომ უნდა გამოაქვეყნოს: წლიური ბალანსი, არა უგვიანეს სამი თვისა.

8. ამა დადგენილების 1-ლ მუხლში ჩამოთვლილი სახელმწიფო დაწესებულებანი და საწარმონი, აგრეთვე ცენტრალური დაწესებულებანი—ყველა, როგორც გაერთიანებული, ისე არა გაერთიანებული სახალხო კომისარიატებისა, — ვალდებულ არიან გამოაქვეყნონ განზრახული საჯარო ვაჭრობა სახელმწიფო იჯარისა და ნარდად სამუშაოს გაცემისა, რაც შეფასებულია ათას მანათზე მეტად ჩერვონეცით, დაწესებული კურსისამებრ.

შენიშვნა: 1) პუბლიკაცია ათათას მანათზე მეტი თანხის (ჩერვონეცებით) საჯარო ვაჭრობის შესახებ მოხდება ორჯერ. 2) პუბლიკაცია ამიერკავკასიის სოც.-ფედ. საბჭ. რესპუბლიკის შედგენილობაში შემაჯავალ რესპუბლიკების არა გაერთიანებულ დაწესებულებათა საჯარო ვაჭრობისა და იჯარის შესახებ, — მოხდება სათანადო ბეჭდვითი ორგანოებში რესპუბლიკანური ხელისუფლების განკარგულისამებრ.

9. ცენტრალური ორგანოები—ყველა, როგორც გაერთიანებული, ისე არა გაერთიანებული სახალხო კომისარიატებისა, რომელთაც განზრახული აქვთ სამრეწველო საწარმოს იჯარით გაცემა, და აგრეთვე ადგილობრივი ორგანოები რესპუბლიკებში, საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე საწარმოს იჯარით მიცემის დროს, არა უგვიანეს ორი კვირისა იჯარით მიცემამდე, — ვალდებულ არიან გამოაქვეყნონ: საწარმოთა სიები, ცნობები, თუ რა მდგომარეობაშია ეს საწარმონი, ვადა იჯარისა და სხვა მნიშვნელოვანი პირობები იჯარისა.

10. ოპერაციული პერიოდი საჯარო ანგარიშგებისათვის ვალდებული საწარმოებისა გათვადება თვითეული წლის დეკემბრის 31-ს. დაწესებულება, რომელიც თავის მოქმედებას დაიწყებს წლის პირველ ნახევარში—არა სრულ წელიწადს ჩასთვლის სრულ წელიწადად, ხოლო დაწესებულებას, რომელიც მოქმედებას წლის მეორე ნახევარში დაიწყებს, — შეუძლიან წლის ბოლო შეუერთოს მომავალ საოპერაციო წელიწადს. მრეწველობის ცალკე დარგს, რომლის წარმოებითი პროგრამაც არ ეთანაბრება საკაენდარო პერიოდებს, ფინანსთა სახალხო კომისარიატის ნებართვით, შეუძლიან ჰქონდეს ანგარიშგების სხვა პერიოდი, რასაც ფინანსთა სახალხო კომისარიატი თავის დროზე გამოაქვეყნებს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ოფიციალურ ორგანოში— „ზარია ვოსტოკა“-ში.

11. ყველა პუბლიკაციის იმის თაობაზე, რაც დაწერილებით ჩამოთვლილია ამა დადგენილების 3—9 მუხლში, სათანადო დაწესებულებანი და საწარმონი გაკვზაენიან მოსათავსებლად ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ოფიციალურ ორგანოში—„ზარია ვოსტოკა“ში.

შენიშვნა. რესპუბლიკანური მასშტაბის დაწესებულება და საწარმო, ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით,— მოათავსებს პუბლიკაციას აგრეთვე რესპუბლიკანურ ოფიციალურ პრესაში.

12. პუბლიკაციის ტარიფს დააწესებს „ზარია ვოსტოკა“-ს რედაქცია და გამოქვეყნდება საყოველთაო ცნობისათვის. პუბლიკაციის სასყიდელი ტექსტთან ერთად გაიგზავნება გაზეთის მთავარ კონტროლში. უკეთეს სასყიდელი გაკვზაენილ არ იქნება, სამი დღის შეღავათის ვასელის შემდეგ, მიერიცხება საურავი სამი პროცენტის რაოდენობით თვითთელი ვადაგადაცილებული დღისათვის.

13. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე მიიცემა სისხლის სამართლის პასუხისგებაში, თანახმად ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკათა სისხლის სამართლის კოდექსებისა.

14. თვითთელ შემთხვევას საჯარო ანგარიშების წესების დარღვევისას „ზარია ვოსტოკა“-ს მთავარი კონტორა აცნობებს სათანადო დაწესებულებათა და თანამდებობის პირთ სასამართლო დევნის აღსაძერვლად.

15. „ზარია ვოსტოკა“-ს რედაქცია, მუშათა და გლეხთა ინსპექციისა და ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, გამოსცემს წესებსა და ინსტრუქციებს ამა დადგენილების შეფარდებისათვის და აგრეთვე ფორმებს, რომლის მიხედვითაც გამოქვეყნდება ხოლმე ბალანსი.

16. დადგენილება ესე შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **მ. პოლის.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **გ. სარუხანოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წლის ივნისის 23-ს თარიღის
142 №-ში.

დადგენილება № 58 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო.

1923. წლის ივნისის 21.

130. ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში სახელმწიფო მონოპოლიის საფუძველზე ზომა-წონის მეტრიული სისტემის შემოღების ღონისძიებათა გაერთიანების შესახებ.

I.

ამიერკავკასიის ყველა საკავშირო რესპუბლიკაში ზომა-წონის მეტრიული სისტემის შეთანხმებულად და ერთდროულად შემოღების ღონისძიებათა გასაერთიანებლად და ამ რეფორმის განხორციელებით გამოწვეული ხარჯების დასაფარავად — ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. რათა აზერბაიჯანის სოც. საბჭ. რესპუბლიკაში, სომხეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკაში და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკაში, მოწესრიგებულ და ურთიერთ შეთანხმებულ იქნეს მოქმედება ადგილობრივი ზომა-წონის პალატებისა და იმ დაწესებულებათა, რომელნიც მოწოდებულ არიან განახორციელონ აღნიშნულ რესპუბლიკებში მეტრიული წვრილსაწონისა და სხვა მეტრიული საზომ-საწონის შემოღების რეფორმა, — ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატთან დაარსდება ამიერკავკასიის ზომა-წონის მთავარი კომისია.

2. აღნიშნულ კომისიაში შევლენ: თავმჯდომარე, დანიშნული ამიერკავკ. სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახ. კომ. საბჭოს მიერ და წარმომადგენელი ამიერკავკ. ფინანსთა სახ. კომისარიატისა, ამიერკავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციისა, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკისა და სომხეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოებისა და აზერბაიჯანის სოც. საბჭ. რესპუბლიკის ვაჭრობა-მრეწველობის სახალხო კომისარიატისა.

3. ყველა დაწესებულება, რომელიც ანხორციელებს ზომა-წონის მეტრიულ სისტემაზე გადასვლას ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფარგლებში, — ვალდებულია ასრულებდეს ზომა-წონის მთავარი კომისიის დადგენილებასა და განკარგულებას და ამ კომისიის უნებართვოდ უფლება არა აქვს ვაჰყიდოს ესა თუ ის კილოგრამის წვრილსაწონი ან მეტრიული საზომი სიგრძისა და ტეობისა.

4. ამიერკავკასიის ზომა-წონის მთავარ კომისიის დაევალება, ორი კვირის განმავლობაში დღიდან მისი დაარსებისა, შეიმუშაოს დაწვრილებითი გეგმა თავისი მუშაობისა, რათა განხორციელებულ იქნეს, ყველგან ამიერკავკასიაში, მეტრიული სისტემის საზომ-საწონთა ხმარებაზე გადასვლა, არა უგვიანეს 1923 წლის დეკემბრის 1-სა, და აღრიცხვა ხარჯისა საჭირო შტატის შენახვისათვის და საოპერაციო შემოსავალ-გასავლისათვის, რომელიც დაკავშირებულია მეტრიული წვრილსაწონისა და სიგრძე-ტეობის საზომის დამზადებასთან, რომელი აღრიცხვაც გატარდება ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის აღრიცხვით.

5. დაწესებულება, რომელიც ამ ეამად აწარმოებს მეტრიული საზომ-საწონის შეკვეთას და დამზადებას, განაგრძობს თავის მუშაობას, ხოლო მარტოდენ ამ მიმართულებით, — შემოსული ფულადი თანხისა და შეკვეთისათვის და დამზადებისათვის დახარჯული თანხის ცალკე აღნუსხვით, — ვიდრე მიეწყობოდეს ზომა-წონის მთავარი კომისია, რომლის ხელშიაც გადავა ეს თანხები ფულად და მატერიალურ ანგარიშთან ერთად; დღიდან თავისი დაარსებისა ზომა-წონის მთავარი კომისია ერთად-ერთი ორგანოა, რომელსაც უფლება აქვს გაანაწილოს ხოლმე წვრილსაწონისა და ბრინჯაოსი, რკინისა და თუჯის (და აგრეთვე სხვა მისალის) საზომთა შემდგომი დამზადების შეკვეთა და აგრეთვე გააჰყიდოს ეს საგნები მთავრობის ფედერატიული მონოპოლიის საფუძველზე.

შენიშვნა. ყველა, ვისგანაც უნდა იყოს, — წინად გამოცემული დადგენილება მე-5 მუხლში აღნიშნულ საგნების შესახებ — გაუქმებულია.

6. ზომა-წონის მთავარ კომისიაში შესული ყველა ფულადი თანხა, იმ თანხებითურთ, რაც უკვე შეკრებილა აღგილობრივი ორგანოების მიერ, რომელნიც განაგებენ ზომა-წონის რეფორმის საქმეს ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის შემადგენლობაში შემავალ ცალკე რესპუბლიკებში, — შეტანილ უნდა იქნეს მთავარი კომისიის მიერ ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის სალაროში, ხაზინის შემოსავლად ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის აღრიცხვით, რომელი აღრიცხვითაც მოხდება აღნიშნული თანხების დახარჯვა.

თანხა, რაც საჭიროა საზომ-საწონთა დამზადების მიმდინარე ხარჯების დასაფარავად, ზომა-წონის მთავარი კომისიის მოწყობამდე შეიძლება დარჩეს მე-5 მუხლში აღნიშნულ ორგანოთა განკარგულებაში.

II.

1. ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატს დაევალება ხელი გაუმართოს ფინანსიურად ამა დადგენილების I-ლ კარში აღნიშნულ მონოპოლიას და უფლება ეძლევა:

ა) ჩამოართვას რესპუბლიკანურ დაწესებულებებს მეტრიული წვრილსაწონისა და სასწორთა დამზადებისათვის შეკრებილი მთელი თანხა და გამოუყენებელი მასალა და შექმნას მათგან ზემოაღნიშნული მონოპოლიის თავდაპირველი ფონდი;

ბ) მისცეს ხოლმე ზომა-წონის მთავარ კომისიას მონოპოლიის განსახორციელებლად საჭირო კრედიტი ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებული აღრიცხვის თანახმად;

გ) გამოიყენოს ზემოაღნიშნული მონოპოლიის საჭიროებისათვის მეტალი ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფარგლებში არსებული სახელმწიფო ფონდების შედგენილობიდან და საჭიროებისდაგვარად გადასცეს ხოლმე იგი ზომა-წონის მთავარ კომისიას.

დ) დაამყაროს ზომა-წონის მთავარი კომისიის მეშვეობით წესი ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის შემადგენილობაში შემავალ რესპუბლიკათა

ზორის წვრილსაწონის განაწილებისა და სასწორთა გადაკეთებისა და წესი შესყიდვისა პირველისათვის თუ მეორესათვის ან წინასწარი ჩაწერის გზით ან დაწვრილებით; ამასთანავე უნდა განისაზღვროს გაყიდვის ფასი—სიგრძის საზომისათვის და სპილენძის წვრილსაწონისათვის 5 ჩერვონეცის მანათის რაოდენობით გირვანქაზე, თუჯის წვრილ საწონისათვის და მიწის-მზომი სიგრძის საზომისათვის—1 ჩერვონეცის მანათის რაოდენობით გირვანქაზე და სასწორთა გადაკეთებისათვის—მუშაობის ნამდვილი თვითღირებულების რაოდენობით, რასაც მონოპოლიის სასარგებლოდ უნდა მიემატოს 50% ამა ღირებულებისა და ამასთანავე ჩათვლილ უნდა იქნეს ის თანხა, რაც ვაჭრისა და დაწესებულებისაგან უკვე მიღებული აქვს ავანსად ადგილობრივ ორგანოს, რომელიც ანხორციელებს ზომა-წონის რეფორმას.

2. დაწესებულ იქნეს თანასწორი დაბეგვრა მეტრიული წვრილ საწონისა, რაც უკვე არის ამიერკავკასიაში და აგრეთვე იმ წვრილსაწონისა, რაც ამჟამად მზადდება არა ზომა-წონის მთავარი კომისიისა და მისი ქვემდებარე დაწესებულებების შეკვეთით. დაბეგვრა დაწესდეს შემდეგი რაოდენობით: სპილენძის წვრილსაწონისა და სიგრძის საზომისათვის—4 ჩერვონეცის მანათი გირვანქაზე და მიწისმზომი სიგრძის საზომისათვის და თუჯის წვრილსაწონისათვის—75 ჩერვონეცის კაპიკი გირვანქაზე. ეს ბეგვრა გადახდევინებულ უნდა იქნეს ზომა-წონის რესპუბლიკანური პალატების მიერ და მათი ადგილობრივი აგენტების მიერ ზომა-წონის მთავარი კომისიის შესამოწმებელი სამონოპოლიო დალის დასმის დროს. გადაკეთებული სასწორის დადაღვისათვის გადახდილ უნდა იქნეს 5 მანეთი ჩერვონეცით.

3. 1-სა (პ. დ.) და მე-2 მუხლში აღნიშნული ზომა-წონის ადგილობრივი პალატების მიერ გადახდევინებული ფულადი შემოსავალი დაუყვანებლივ შეტანილ უნდა იქნეს ამიერკავკასიის ფინანსთა სახ. კომისარიატის საღაროში ხაზინის შემოსავლად ამიერკავკასიის ფინანსთა სახ. კომისარიატის აღრიცხვით.

4. ამიერკავკასიის სოც. დედ. საბჭ. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში აკრძალულია ხმარება, ყიდვა და გაყიდვა სპილენძისა, თუჯისა და სხვა მასალისაგან დამზადებული მეტრიული წვრილსაწონისა და საზომისა, რომელსაც არ ექნება ზომა-წონის მთავარი კომისიის სამონოპოლიო შესამოწმებელი დალი.

5. მე-4 მუხლის შეუსრულებლობისათვის დამნაშავეს დაედება ჯარიმა მასზე მირიცხული თანასწორი შენაწერის ათჯერ გადიდებული რაოდენობით, ხოლო მისი კუთვნილი წვრილსაწონი, საზომი და სასწორი ჩამოერთმევა კონფისკაციის წესით ზომა-წონის მთავარი კომისიის სასარგებლოდ.

6. ამიერკავკასიის სოც. დედ. საბჭ. რესპუბლიკის ყველა დაწესებულება და სავაჭრო და სამრეწველო საწარმო-ვალდებულია, არა უგვიანეს ამა წლის ნოემბრის 1-სა, წარუდგინოს ან თვით ზომა-წონის მთავარ კომისიას, ან ზომა-წონის რესპუბლიკანურ პალატებს, ან და მათ ადგილობრივ რწმუნებულ აგენტებს თავიანთი მეტრიული წვრილსაწონი, საზომი და სასწორი შესამოწმებელი სამონოპოლიო დალის დასასმელად და გადაიხადოს თანასწორი დაბეგვრის შენაწერი ამა დადგენილების მე-2 მუხლისამებრ.

ამის შეუსრულებლობისათვის დამნაშავეს გადაჰხდება მე-5 მუხლში აღნიშნული ჯარიმა.

7. ამ თამად არსებული ყოველგვარი წვრილსაწონი—გირვანქიანი, ფუთიანი და სხვა არამეტრიული—შეცვლილ უნდა იქნეს კილოგრამის წვრილსაწონით 1923 წლის განმავლობაში. 1924 წლის იანვრის 1-დან რაიმე სხვა სახის წვრილსაწონის ხმარება ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე აკრძალულია.

ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავეს დაედება ჯარიმა 200 მანათამდე (ჩერვონცით) და ხმარებაში შენიშნული არამეტრიული წვრილსაწონი ჩამორთმეული იქნება კონფისკაციის წესით ზომა-წონის მთავარი კომისიის სასარგებლოდ.

8. რაიმე წვრილსაწონის მეტრიული წვრილსაწონით შეცვლის დროს —პირველი გადადის ზომა-წონის მთავარი კომისიის განკარგულებაში ნამტვრევ მეტალად შეფასებული წვრილსაწონის გადასვლის დღის საშუალო-საბაზრო ფასებისამებრ, რის რეგისტრაციასაც აწარმოებს ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატი. სასყიდელი, რაც გადახდილ უნდა იქნეს აღნიშნული წვრილსაწონისთვის, ჩაითვლება მეტრიული წვრილსაწონის ფასში.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მართველი **მ. პოლის.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **გ. სარუხანოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წლის ივნის 24-ს თარიღის 143 №-ში.

დადგენილება ამიერკავკასიის სანსტრალური ალმას- რულაგელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წლის ივნისის 22.

131. ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს სასარგებლოდ მიწების მორწყვისათვის არსებული ნატურალური გადასახადის გაუქმების შესახებ.

ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დეკრეტის განსაზღვრებლად ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა ადგენენს: საბჭო.

1. გაუქმებულ იქნეს ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს სასარგებლოდ მიწების მორწყვისათვის არსებული ნატურალური გამოსაღები მცხოვრებთაგან.

2. შესწყდეს ამ გადასახადის ნარჩენის გადახდევინება.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი

კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი

კომიტეტის მდივანი **თალიბლი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წ. ივნისის 28 თარიღის 146 №-ში.

დადგენილება ამიერკავკასიის სენსაკალური ალმას- რულაგელი კომისიას და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წ. ივნისის 27.

132. შვეიცარიის მოქალაქეთა საწინააღმდეგო ღონისძიებათა შე-
სახებ.

იღებენ რა მხედველობაში უკიდურეს მტრულ პოზიციას, რომელზედაც დად-
გა შვეიცარიის მთავრობა რუსეთისა, უკრაინისა და საქართველოს მოკავშირე
მთავრობათა მიმართ და რაც გამოიხატა: პირველი—იმაში, რომ არ მიიღო სა-
თანადო ღონისძიება ლოზანის კონფერენციის მეორე სესიაზე რუსეთისა, უკრაი-
ნისა და საქართველოს სრულ უფლებიან წარმომადგენლად დანიშნული ამხ. ვო-
როგესკის სიცოცხლის დაცვისა და უშიშროებისათვის, რის შედეგადაც მოხდა ამ
უკანასკნელის მკვლელობა და მისი ორი თანამშრომელის დაჭრა, მეორე—იმაში,
რომ შვეიცარიის ფედერალურმა საბჭომ არ მისცა საბჭოთა მთავრობას დაკმა-
ყოფილება, რასაც იგი მოითხოვდა ამხ. ვოროგესკის მკვლელობის გამო, მესამე—
იმაში, რომ შვეიცარიის მთავრობა იქნეს აშკარა მიმშველბობას ამხ. ვოროგესკის
მკვლელისა და მკვლელობის მონაწილეთა მიმართ, არ იღებს რა მათ შესახებ
აღკვეთის ღონისძიებას, რაც ჩვეულებრივია ხოლმე უფლებიან სახელმწიფო დამნა-
შავეთა მიმართ და მეოთხე—იმაში, რომ შვეიცარიის მთავრობამ არ გადასცა ეს
საქმე განსახილველად იმ სასამართლოს, რომელიც იხილავს ხოლმე უფმძიმეს სა-
ხელმწიფო დანაშაულს, როგორც არის საერთაშორისო კონფერენციის სრულ-
უფლებიანი დელეგატის მკვლელობა, და, ამრიგად, სცნობს რა, რომ ყველა აღ-
ნიშნული მოქმედებით შვეიცარიის მთავრობამ აშკარა ჰყო თავისი სურვილი—
შეუმსუბუქოს მკვლელთა პასუხისმგებლობა და თითქმის გაამართლოს კიდევ ეს
უმაგალითო დანაშაული,—ამიერკავკასიის საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებ-



ბელი კომიტეტი და ამიერკავკასიის სოც. ფედერ. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო **ადგენენ**: პირველი—დაევალოს ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატს—წინადადება მისცეს ამიერკავკასიის სოც. ფედერ. საბჭოთა რესპუბლიკის სრულუფლებიან წარმომადგენელთ და კონსულებს, აგრეთვე სპეციალურად საამისო რწმუნებულ პირთ—არ მისცენ ხოლმე შვეიცარიის მოქალაქეთ, მშრომელთა გარდა, რომელნიც არ ეწევიან პასუხისმგებლობას შვეიცარიის მთავრობის უმაგალითო მოქმედებისათვის,—ვიზა საბჭოთა ფედერაციის ცარგლებში შემოსასვლელად; მეორე—დაევალოს ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატს და მის ორგანოებს უცხოეთში—არავითარი სავაჭრო ან სხვა რამ კომერციული ურთიერთობა არ იქონიონ შვეიცარიის მოქალაქეებთან და შვეიცარიული ფირმების წარმომადგენლებთან და არ დაამტკიცონ ხოლმე არავითარი გარიგება აღნიშნულ მოქალაქეებთან და ფირმებთან; მესამე—წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის სოც. ფედერ. საბჭოს რესპუბლიკის ყველა სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოს, რომელსაც ჰყავს შვეიცარიაში ესა თუ ის წარმომადგენელი, აგენტრ, და სხვ.—დაუყოვნებლივ გამოიწვიონ ივინი; მეოთხე—დაევალოს ამიერკავკასიის სოც. ფედერ. საბჭ. რესპ. სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოებს,—უკეთუ ივინი აწარმოებენ ამ ჟამად შვეიცარიის მოქალაქეებთან და შვეიცარიული ფირმების წარმომადგენლებთან რაიმე კომერციულ მოლაპარაკებას,—შესწყვიტონ ხსენებული მოლაპარაკება; მეხუთე—ზედამხედველობა ამა დადგენილების აღსრულებითვის დაეკისროს ამიერკავკასიის სოც. ფედერ. საბჭ. რესპუბლიკის გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატს; მეექვსე—წინადადება მიეცეს გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატს,—როდესაც იგი საჭიროდ სცნობს, აღძრას სახალხო კომისართა საბჭოსა და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წინაშე—შუამდგომლობა ამა დადგენილების მოქმედების გაუქმების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკია**.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი**.

ამიერკავკასიის საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ბ. თალიბლი**.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წ. ივნისის 28 თარიღის 146 №-ში.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წ. ივნისის 25.

133. საჯარო სანახაობათა და გასართობათა გადასახადის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერკავკასიის სოც. ფედერ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ: შემოღებულ იქნეს და შევიდეს მოქმედებაში შემდეგი დებულება საჯარო სანახაობათა და გასართობათა გადასახადის შესახებ.



1. საჯარო სანახაობათა და გასართობთა გადასახადი გადახდილ უნდა იქნეს ამა სანახაობათა და გასართობებზე შესასვლელი ფასიანი ბილეთებისათვის, შესასვლელი ბილეთის ფასის დამატებად.

2. საჯარო სანახაობათა და გასართობთა, რომლისთვისაც გადახდილ უნდა იქნეს გადასახადი (მუხ. 1.) ეკუთვნის: ა.,—სიმფონიური და ორატორიული აღს-სრულება, კონცერტი, ლიტერატურული და მუსიკალური საღამო და დილა, ოპერა (სხვათა შორის კომიკური), ბალეტი, საბავშვო წარმოდგენა და სამხატვრო გამოკვენა; ბ.,—სასპორტო შეჯიბრება, ცირკი და მექანიკური თეატრი; გ.,—კინემატოგრაფი; დ.,—სრბოლა და დოლი და ამგვარი რამ შეჯიბრება, ავრეთვე საჯარო თამაზი; ე., გასართობი სანახაობა უმაგიდებოთ; ვ.,—გასართობი სანახაობა მაგიდებით, საცეკვაო საღამო და მასკარადი.

3. გადასახადი არ გადახდება: ა.,—მუზეუმს, ცალკე სანახაობას, რომელიც გაიმართება სკოლაში, ყაზარმაში, საავადმყოფოში, თავმჯდომარეში და გამასწორებელ სახლში—მოსწავლეთათვის, წითელარმიელთათვის, ავადმყოფთათვის, შვედრომილთათვის და დაპატიმრებულთათვის; ბ.,—ცალკე სანახაობას, რომელსაც აქვს საავტოციო-საპროპაგანდო, საპოლიტიკო-საგანმანათლებლო და სამხატვრო-საჩვენებელი მნიშვნელობა; გ.,—ცალკე სანახაობას, რომელსაც გამართავს თვითმომქმედი სამხატვრო—საგანმანათლებლო ორგანიზაცია და რომელსაც აქვს საცდელი, საჩვენებელი ან საანგარიშო ხასიათი; დ.,—დახურულ საღამოს, რომელსაც გამართავს საფაბრიკო-საქარბნო ორგანიზაცია და პროფესიონალური კავშირი თავისი წევრებისათვის; ე.,—სანახაობას და გასართობს, რომელსაც გამართავს მუშათა და საზოგადოებრივი ორგანიზაცია საქველმოქმედო მიზნით და ვ.,—საბავშვო წარმოდგენას.

4. გადასახადის რაოდენობა დაწესდება არა უმეტეს: 1-ლი ჯგუფისათვის—5 პროც.; მე-2 ჯგუფისათვის—10 პროც.; მე-3 ჯგუფისათვის—15 პროც., მე-4 ჯგუფისათვის—25 პროც., მე-5 ჯგუფისათვის—50 პროც., მე-6 ჯგუფისათვის—100 პროც.

5. უკეთეს ფასიანი სანახაობისა და გასართობის პასუხისმგებელი გამმართველი შეუშვებს მიმსვლელს გადასახადის სრულად გადაუხდევინებლად ან დაწესებულ რაოდენობაზე ხაკლებს გადახდევინებით, —მას დაედება ფულადი ჯარიმა დაწესებული გადასახადის განაკვეთის ოცჯერ მეტი რაოდენობისა ან ოცჯერ მეტი იმ განსხვავებისა, რაც იქნება დაწესებული გადასახადსა და უკვე გადახდილ ნაწილს შორის. ეს ჯარიმა გადახდევინებულ უნდა იქნეს გადასახადთა და გამოსაოებთა გადახდევინების დებულების წესისამებრ.

6. არაეიჯარო სხვა რამ გადასახადი საჯარო სანახაობისა და გასართობისათვის არ შეიძლება იქნეს დაწესებული ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს, ან ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ნებადაურთველად.

7. ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატს ჰქართებს ვამოსცეს წესები და ინსტრუქცია ამა დებულების შეფარდებისათვის.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი

კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახ.

კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური

აღმასრულებელი კომიტ. მდივანი **ბ. თალიბლი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წ. ივნისის 29-ს თარიღით 147 №-ში.

დადგენილება აზიურ-კავკასიის სენსაკლური ალმას- რულაგელი კომიტეტისა და აზიურკავკასიის სოც. ფედერ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წ. ივნისის 22.

134. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის არაპირიან გადა- მხდელთათვის ადმინისტრაციული სასჯელის დადების შესახებ.

ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ გამოცემული დეკრეტის მე-19 მუხ. განსავითარებლად ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერკავკასიის სოც. ფედერ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო აღგენენ:

1. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ გამოცემული დეკრეტის მე-13 მუხ. თანახმად მოსაწყობ სამაზრო საგადასახადო სამეულს მიეცეს უფლება გადასახადის არაპირიანი გადამხდელი დაატუსაღოს ორ კვირაზე არა უმეტესი ვადით და აგრეთვე მიეცეს უფლება დაადოს მას ჯარიმა ერთ მეხუთედზე არა უმეტეს გადასახადის იმ ნაწილისა, რაც მას გადასახდელი აქვს უწყებული ვადის განმავლობაში.

შენიშვნა ერთსა და იმავე დროს დატუსაღებაც და ჯარიმის დადებაც არ შეიძლება.

2. დატუსაღება და ჯარიმის დადება განიხილება: ა., —გადასახადის თავის დროზე ჩაუბარებლობისათვის. ბ., —გადასახადის ანგარიშში მეორეჯერ უხეირო პროდუქტის წარდგენისათვის იმისდა მიუხედავად, რომ პროდუქტის მიღებაზე ერთხელ უკვე უარი იყო განცხადებული.

3. თვითეული დატუსაღებისათვის ან ჯარიმის დადებისათვის შედგენილ უნდა იქნეს დასაბუთებული დადგენილება, რომელშიც უნდა აღინიშნოს, რაში გამოიხატება გადამხდელის არაპირიანობა; აგრეთვე მას წინასწარ უნდა განემარტოს—რა სასჯელიც შეიძლება მოელოდეს მას შემდგომისათვის. დადგენილება უნდა გამოეცხადოს გადამხდელს მისი ხელის მოწერით, ხოლო უკეთუ მან წერა არ იცის, ორი მოწმის თანადასწრებით.

4. აღნიშნული დადგენილება აღსრულებაში მოყვანილ უნდა იქნეს სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის სამმართველოს განყოფილების მეშვეობით.

5. გადამხდელს უფლება ეძლევა განასაჩივროს საგადასახადო სამეულის დადგენილება გადასახდელის დადების შესახებ, შვიდი დღის განმავლობაში დღიდან განსასაჩივრებელი დადგენილების გამოცხადებისა, —განსაკუთრებულ საგადასახადო კომისიაში, რომელიც მოხსენებულა ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დეკრეტის მე-12 მუხლში.

შენიშვნა. საჩივარის შეტანა არ შეაჩერებს გადასახდელის გადახდევინებას.

6. საგადასახადო სამეული, უკეთეს იგი ბოროტად გამოიყენებს ამა დადგენილებით მინიჭებულს უფლებას პასუხს აგებს სისხლის სამართლის წესით, როგორც თანამდებობრივი დანაშაულობისთვის.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი

კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

ამერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო

კომისართა საბჭოს თავმჯდომარე მ. ორახელაშვილი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი

კომიტეტის მდივანი ბ. თალიბლი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წლის ივლისის 1-ს თარიღის 419 №-ში.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

1923 წ. ივნისის 11.

135. ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან ამიერკავკასიის სამეცნიერო ასოციაციის მოწყობის შესახებ კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის შესასწავლად.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი აღგენს:

შემოღებული იქნეს სამოქმედოდ შემდეგი დებულება—ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული ამიერკავკასიის სამეცნიერო ასოციაციისა—კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის შესასწავლად.

1. ამიერკავკასიის სამეცნიერო ასოციაცია ამიერკავკასიის ფედერაციის ტერიტორიაზე (საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის რესპუბლიკები) მიზნად ისახავს, როგორც ამ ქვეყნების, ისე ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოთა ყოველმხრივ შესწავლას და აგრეთვე სამეცნიერო და გამოყენებითი ცოდნის გავრცელებას მის შესახებ.


2. ამიერკავკასიის სამეცნიერო ასოციაციის საგანს შეადგენს შესწავლა:

ა) პოლიტიკურ-ეკონომიური და სოციალური საკითხებისა და ბ) ისტორიულ-ეთნოლოგიური საკითხებისა, რისთვისაც იგი გაჰყოფს თავის სამეცნიერო მუშაობას ორ სათანადო სექციად.

3. აღნიშნული სამეცნიერო მიზნების განხორციელებისათვის ამიერკავკასიის სამეცნიერო ასოციაცია:

ა) მეცნიერული ურთიერთი დახმარების მიზნით დაიკერს ურთიერთობას არსებულ სამეცნიერო საზოგადოებათა და ორგანიზაციებთან და იქონიებს მათთან სამეცნიერო და საინფორმაციო კავშირს;

ბ) აღმოუჩინოს დახმარებას ორგანიზაციათ და დაწესებულებათ ასოციაციის მიზნების განხორციელების საქმეში, როგორც ადგილობრივ, ისე ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფარგლების გარეშეც;



- გ) მოაწივოს სამეცნიერო ექსპედიცია-ექსკურსიებს;
 დ) გამოსცემს თავის შრომათ.

შენიშვნა: ყველა სააღრიცხვო და საორგანიზაციო განზრახვლება ექსპედიციის მოწყობისა და საგამომცემლო მუშაობისთვის—წარედგინება დასამტკიცებლად ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს.

4. ამიერკავკასიის სამეცნიერო ასოციაციას აქვს თავისი განყოფილებანი საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის რესპუბლიკებში.

5. ამიერკავკასიის სამეცნიერო ასოციაციის წევრად შეიძლება იყოს ყოველი პირი, ვინც მუშაობს ასოციაციის მიზნების სფეროში, თანაუგრძნობს ამ მიზნებს და სასარგებლო იქნება ასოციაციისათვის.

6. ამიერკავკასიის სამეცნიერო ასოციაციის წევრნი განიყოფებიან ნამდვილ წევრებად და კორესპოდენტ—წევრებად:

ა) ასოციაციის ნამდვილ წევრად შეიძლება იყოს ყოველი პირი, ვისაც აქვს სპეციალური ნაშრომი ასოციაციის მიზნების სფეროში, ან დაინტერესებულია სათანადო კითხვებით. იგი აირჩევა განყოფილების საერთო კრებაზე განყოფილების ორი ნამდვილი წევრის წერილობითი დასაბუთებული წინადადებით, ხმის უბრალო უმრავლესობით;

ბ) წევრი-კორესპოდენტი აირჩევა განყოფილების წევრთა საერთო კრებაზე მე-5 მუხლში აღნიშნულ პირთაგან; წევრი-კორესპოდენტი მიაწოდებს ინფორმაციას თავის განყოფილებას ყველა საკითხში, რაც უკანასკნელს აინტერესებს, შეასრულებს ცალკე დავალებათ და სარგებლობს სათანაბრო ხმის უფლებას.

7. ამიერკავკასიის სამეცნიერო ასოციაციის ყველა საქმეებს განაგებს პრეზიდიუმი ხუთი კაცისაგან; ორს მათგანს—თამგჯდომარეს და პასუხისმგებელ მდივანს—დანიშნავს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, ხოლო სამს გაგზავნიან რესპუბლიკანური განყოფილებანი—თვითთული თითოს. პრეზიდიუმი დაასახელებს თავისი წრიდან მეცნიერ მდივანს და სამეცნიერო სექციების გამგეთ.

8. ამიერკავკასიის სამეცნიერო ასოციაციის პრეზიდიუმი იმყოფება ქ. ტფილისში, მას სისტულეში მოჰყავს მე-3 მუხლში ჩამოთვლილი სამეცნიერო დავალებანი და ხელმძღვანელობს განყოფილებათ.

9. ადგილობრივი განყოფილება აწარმოებს საქმეს და ასრულებს ასოციაციის დავალებათ რესპუბლიკის მასშტაბით,—თანხმად ასოციაციის პრეზიდიუმის ინსტრუქციებისა.

შენიშვნა. ყველა თავის სამეცნიერო მუშაობასა და მასალას განყოფილება წარუდგენს პრეზიდიუმს.

10. ასოციაციის თვითთული რესპუბლიკანური განყოფილება აირჩევის გამგეობას სამი კაცისაგან. გამგეობა აირჩევის თავისი წრიდან მეცნიერ—მდივანს, რომელსაც დაამტკიცებს პრეზიდიუმი.

11. განყოფილებას შეუძლიან, იმ მიზნების ფართოდ შესრულებისათვის, რაც მას დასახული აქვს, როგორც სახელმწიფოთა შესწავლისა, ისე მათ შესა-

ხებ სამეცნიერო ცოდნის გავრცელების საქმეში,—მოაწყოს თავისთან ფილიალები და ნაციონალური სექციები.

შენიშვნა. ამიერკავკასიის სამეცნიერო ასოციაციის პრეზიდენტთან განყოფილება დაიჭერს ურთიერთობას თავისი მეცნიერი-მდივნის მეშვეობით.

12. ამიერკავკასიის სამეცნიერო ასოციაციის პრეზიდენტს აქვს ბეჭედი წარწერით: „კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის შესწავლის ამიერკავკასიის სამეცნიერო ასოციაცია ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან“.

რესპუბლიკანური განყოფილების გამგეობას აქვს ბეჭედი წარწერით: „კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის შესწავლის ამიერკავკასიის სამეცნიერო ასოციაცია—განყოფილება“.

13. ამიერკავკასიის სამეცნიერო ასოციაციის ფინანსები შესდგება იმ თანხებიდან, რასაც გადასდებს (აღრიცხვით) ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი.

14. ამიერკავკასიის სამეცნიერო ასოციაცია წელიწადში ოთხჯერ გაჭვავების ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში დაწვრილებითი ანგარიშს თავისი მოქმედებისა და აგრეთვე მის მიერ დახარჯული თანხების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ბ. თალიბლი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წ. ივლისის 1-ს თარიღის 149 №-ში.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

1923 წ. ივნისის 25.

136. კანონპროექტების წარდგენის წესის შესახებ.

საკანონმდებლო კომისიაში კანონპროექტების წარდგენის შესახებ ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ ამა წლის აპრილის 16 თარიღით გამოცემული ცირკულიარული განკარგულების დამატებად ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. ყოველი კანონპროექტი, რომელსაც უწყება შეიტანს საკანონმდებლო კომისიაში, შედგენილ უნდა იქნეს დეკრეტის პროექტის სახით და შიგ გარკვევით უნდა აღინიშნოს გასაუქმებელი ან შესაცვლელი კანონდებულება. ამა პროექტის თითო ცალი, გარდა დაწესებული ხუთი ცალისა, იმავე დროს უნდა გაეგზავნოს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდენტის ყველა წევრს ან ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს თვითიველ წევრს კუთვნილებისამებრ.

2. საკანონმდებლო განზრახვლების საკანონმდებლო კომისიაში შეტანის წინასწარ უნდა მოხდეს შეთანხმება დაინტერესებულ უწყებასთან, რაც დადასტურებული უნდა იყოს დაწესებულების მეთაურის ხელმოწერით პროექტზე ან მისი წერილობითი პასუხით.

3. უკეთეს შესატანი პროექტის შესახებ დაინტერესებულ უწყებათა შორის შეთანხმება მიღწეულ ვერ იქნა, ყოველი არა შეთანხმებული თვალსაზრისი გარკვევით უნდა იქნეს აღნიშნული.

4. უკეთეს ის უწყება, რომელთანაც შესატანი წინადადება წინასწარ შეთანხმებულ უნდა იქნეს, შეიძლება დღის განმავლობაში დღიდან მის მიერ პროექტის მიღებისა, — არ წარუდგენს კანონპროექტის შემტან უწყებას თავის წერილობითი დასკვნას ან კონტრ-პროექტს, პროექტი შეიძლება შეტანილ იქნეს საკანონმდებლო კომისიაში შეუთანხმებელი სახითაც და ამ შემთხვევაში საქმის შემდგომი წარმართვა განისაზღვრება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარისა ან ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის განკარგულებით — კუთვნილებისამებრ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი

კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია**

ამიერკავკასიის ცენტ. აღმასრ.

კომიტეტის მდივანი **ბ. თაღლიძე**.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წ. ივნისის 1-ს თარიღის 149-№ ში.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

1923 წ. ივნისის 25.

137. ამიერკავკასიის დამშეული რაიონისათვის შეწირულ და გადადებულ ტვირთთა გადაზიდვისა და მათ გამყოლ პირთა ამიერკავკასიის რკინისგზით როინების შესახებ.

იმ მიზნით, რათა გადავიღებულ იქნეს ამიერკავკასიის რკინისგზით ზოგიერთი კატეგორიის ტვირთთა გადაზიდვა მოუსავლობისაგან დაზარალებულ ადგილებში, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. იმ ტვირთთა გამგზავნელთ, — რომელიც შესდგება ფართო მოხმარებისა და საშინაო საჭიროების პროდუქტებისაგან და იგზავნება ამიერკავკასიის რკინისგზით მოუსავლობისაგან დაზარალებულ ადგილებში, შიმშილის შედეგებთან ბრძოლის კომისიის სახელზე, — უფლება მიეცეთ შელაგათიანი გადაზიდვისათვის, — მომქმედი ნორმალური ტარიფის ღირებულების 50 პროცენტის დაკლებით.

2. შეღავა თი ესე გავრცელებულ იქნეს 1-ლ მუხ. აღნიშნული ტვირთის გამყოლ პირთა ამიერკავკასიის რკინისგზით როინობაზე.

3. სასყიდელი, რაც ერგება რკინისგზას ამა დადგენილებაში აღნიშნულ ტვირთთა გადაზიდვისა და მათ გამყოლ პირთა როინობისათვის, გადახდილ

უნდა იქნეს შიმშილობის შედეგებთან ბრძოლის რესპუბლიკანურ დაწესებულებათა მიერ საუწყებათაშორისო ანგარიშის გასწორების წესით.

ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს დაევალება გამოსცეს ინსტრუქცია ამა დადგენილების შეფარდების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტ. აღმას. კომიტ. თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერკავკ. ცენტრ. აღმასრ. კომიტ. მდივანი **ბ. თალიბლი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წ. ივლისის 3-ს თარიღის 150 №-ში.

დადგენილება ამიერკავკასიის სენატრალური აღმასრულებელი კომისიისა.

1923. წ. ივნისის 25.

138. სახალხო კავშირის მომუშავეთა დემობილიზაციის შესახებ აზერბაიჯანის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკაში.

გაუქმებულ იქნეს აზერბაიჯანის სოც. საბჭ., რესპუბლიკის ყოფილი შრომის სახალხო კომისარიატის მიერ 1923 წ. აპრილის 10 თარიღითა და 21 №-რით გამოცემულ დადგენილების 1 მუხ. ლიტ. ბ-ს 1 და 2 პუნქტი—ყველა იმ შემთხვევაში, რაც დაწესებულია აღნიშნული დადგენილების 2 და 3 მუხ.—სახალხო კავშირის მომუშავეთა მიმართ.

ამიერკავკ. ცენტრ. აღმ. კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერკავკ. ცენტრ. აღმ. კომიტეტის მდივანი **ბ. თალიბლი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წ. ივლისის 3-ს თარიღის 150 №-ში.

დადგენილება № 59 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისარიატის საბჭოში.

1923 წლის ივნისის 20.

139. საღერბო ნიშნებისა და სხვა ქალაქების გაყიდვის შესახებ ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებებში.

1. საღერბო ნიშნებისა, საღერბო მარკებისა და სააქტო და სავექსილო ქალაქების გაყიდვა, ხაზინის და ფინანსთა სახალხო კომისარიატის კასების გარდა, შემოღებულ იქნეს აგრეთვე ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის დაწესებულებებში.

2. აღნიშნული ოპერაციების წარმოებისათვის ფოსტა-ტელეგრაფის უწყების თანამშრომელთა სასარგებლოდ, რომელთაც დაეკისრებათ საღერბო ნიშნების გაყიდვა,—გადადებულ იქნეს ერთი პროცენტი (1%) გასაყიდი საღერბო ნიშნების ფასისა.

3. ფინანსთა სახალხო კომისარიატს უფლება ეძლევა—ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატთან ერთად—შიემუშაოს წესი ამა დადგენილების შეფარდებისათვის.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისარიატის საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისარიატის საბჭოს საქმეთა მმართველი **მ. პოლის.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო
კომისარიატის საბჭოს მდივანი **გ. სარუხანოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წლის ივლისის 6-ს თარიღის 153 № ში.

დადგენილება № 60 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისარიატის საბჭოსი.

1923 წლის ივლისის 20.

140. სამეურნეო ორგანოების მიერ სავაჭრო საქმისათვის უცხოეთში წარმომადგენელთა წარვლინების წესის შესახებ.

სახელმწიფო სამეურნეო ორგანიზაციების საუცხოეთო სავაჭრო საწარმოთა და ხელშეკრულებათა შესახებ 1923 წლის თებერვლის 15-ს თარიღითა და 9 №-ით გამოცემული დადგენილების დასამატებლად—ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისარიატის საბჭო ადგენს:

1. წარმომადგენელი ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკისა და მის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახელმწიფო სამეურნეო ორგანიზაციებისა და აგრეთვე ცენტროკავშირის ამიერკავკასიის საოლქო განყოფილებისა, რომელნიც სავაჭრო საქმეებისათვის მიემგზავრებიან საზღვარგარედ, ვალდებულ არიან იქონიონ ამიერკავკასიის სავაჭრო ვაჭრობის სახ. კომისარიატის ვიზა, რისთვისაც ისინი წარადგენენ სავაჭრო ვაჭრობის სახ. კომისარიატში თავიანთ ვექილობასა და მოწმობას ორი ასლით, რომელთაგან ერთი ასლი დარჩება სავაჭრო ვაჭრობის სახ. კომისარიატში, ხოლო მეორე გაიგზავნება ამ კომისარიატის მიერ ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სათანადო სავაჭრო წარმომადგენლობაში საზღვარგარედ.

შენიშვნა. წარვლინებულის პასპორტში აღინიშნება: „სავაჭრო საქმეებისათვის“ და ამა მუხლში აღინიშნული სავაჭრო ვაჭრობის სახ. კომისარიატის ვიზის დაუდებლად ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ვარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატი არ მისცემს ნებართვას სავაჭრო საქმეებისათვის საზღვარგარედ წასასვლელად.

2. დანიშნულ სახელმწიფოში მისვლისას წარმომადგენელი ვალდებული რეგისტრაცია უყოს თავის ვექილობასა და მოწმობას ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სათანადო სავაჭრო წარმომადგენლობაში; უამისოდ სოცია-

ლისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი არ გაუკეთებს ვიზას მის პასპორტს.

3. იმ სახელმწიფოს მოქალაქე, სადაც ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკას ჰყავს სავაჭრო წარმომადგენელი, შეიძლება დაინიშნოს სამეურნეო ორგანოს წარმომადგენლად მხოლოდ სავაჭრო წარმომადგენლის თანხმობით, ან სრულუფლებიანი წარმომადგენლის დასკვნისამებრ.

4. ამა დადგენილების მე-2 და მე-3 მუხლში აღნიშნული წესის დარღვევისათვის დამნაშავე მიიქცემა სისხლის სამართლისა და მატერიალურ პასუხისგებაში ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის კანონების თანახმად.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის

სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **მ. პოლისი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **გ. სარუხანოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წლის ივლისის 22 თარიღის 153 №-ში.

დადგენილება № 61 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წ. ივნისის 21.

141. ამიერკავკასიის რკინისგზებისადმი გადანაყოლის დაბრუნების თაობაზე სარჩელისა და მოთხოვნის აღძვრის ვადის შემცირების შესახებ.

ამიერკავკასიის რკინისგზებისადმი გადანაყოლის შესახებ პრეტენზიების მოსაწესრიგებლად სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. სარკინისგზო წესდების 101 მუხლს დაერთოს შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

შენიშვნა: მოთხოვნა და სარჩელი ამიერკავკასიის რკინისგზებისადმი გადანაყოლის დაბრუნების შესახებ, ამიერკავკასიის სოც. ფედერ. საბჭ. რესპუბლიკის ფარგლებში გადაზიდვის საფუძველზე წარმომდგარი, — გაბათილებულია ექვსი თვის ხანდაზმულობით, უკეთუ ნაზღაური წინადაცე განსაზღვრული არ იყო რკინისგზების მიერ აღიარებით, ნებაყოფლობითი გარიგებით ან და სასამართლოს გადაწყვეტილებით.

2. უფლება მიეცეს მეპრეტენზიეთ, —ერთი თვის განმავლობაში ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან, — განუცხადონ რკინისგზებს თავიანთი პრეტენზიები გადანაყოლის შესახებ ადგილობრივი მიმოსვლის სარკინისგზო საბჭუთებით

(ნაკლადნით) იმ საქმეების გამო, რომელთაც ექვსი თვის ვადა უკვე გაუვიდა, ხოლო რომელთაც ერთი წელიწადი არ შესრულებია ხანდაზმულობის დაწყების დღიდან.

ამიერკავკასიის სოც. ფედერ. საბჭ. რესპ.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე მ. ორახელაშვილი.

ამიერკავკასიის სოც. ფედერ. საბჭ. რესპ.

სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი მ. პოლის.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი გ. სარუხანოვი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკას“ 1923 წ. ივლისის 7-ს თარიღის 154

№-ში.

დადგენილება ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ.

1923 წ. ივლისის 21.

142. ამიერკავკასიის რკინის გზებზე მოძრაობის უშიშროების დაცვის შესახებ.

რკინის გზაზე მოძრაობის წესიერებისა და უშიშროების დაცვის მიზნით ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. აკრძალულია ამიერკავკასიის სოც. ფედერ. საბჭოთა რესპუბლიკის რკინისგზის ლიანდაგისა, ნაგებობისა და სხვ. გაწყობილების გაფუჭება, აგრეთვე ყოველგვარი მოქმედება, რასაც შეუძლიან დაარღვიოს რკინისგზაზე მოძრაობის წესიერება და უშიშროება.

2. დიდი სიმძიმის საგნები და, საერთოდ, ისეთი საგნები, რომელსაც შეუძლიან დააზიანოს რკინისგზის ლიანდაგი, გადაზიდულ და გადატანილ უნდა იქნეს გადასასვლელზე და გადასაბრუნებელზე აუცილებელი სიფრთხილით და რკინისგზის სამართველოს თანხმობით.

3. იმ პირობა, რომელნიც არ ეკუთვნიან რკინისგზის მოსამსახურეთა შედგენილობას, არა აქვთ უფლება, ამიერკავკასიის რკინისგზის სამართველოს ნებდაღურთველად, — იარაღ და ირონიონ რკინისგზის ლიანდაგზე, გარეშე საამისოდ არსებული გადასასვლელისა და გადასაბრუნებელისა.

4. ამა დადგენილებაში აღნიშნული წესის დარღვევისათვის დამნაშავე მიცემულ იქნება პასუხისმგებლობა იმ რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლების მიხედვით, რომელიც შედის ამიერკავკასიის სოც. ფედერ. საბჭოთა რესპუბლიკის შედგენილობაში.

ამიერკავკასიის სოც. ფედერ. საბჭ. რესპ.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე მ. ორახელაშვილი.

ამიერკავკასიის სოც. ფედერ. საბჭ. რესპ.

სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი მ. პოლის.

ამიერკავკასიის სოც. ფედერ. საბჭ. რესპ.

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი გ. სარუხანოვი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წ. ივლისის 7-ს თარიღის

დადგენილება ამიერკავკასიის სანსრაული ალმა- სრული კომიტეტისა.

1923 წლის ივნისის 22.

143. ამიერკავკასიის და რესპუბლიკანური სოფლის მეურნეობისა და სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის დახმარების კომიტეტების მოწყობისა და სასოფლო-სამეურნეო კრედიტის საზოგადოებათა ორგანიზაციის შესახებ.

I.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. მოწყოს ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობის და სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის დახმარების კომიტეტი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის თავმჯდომარეობით, რომელსაც ჰყავს ორი მოადგილე. კომიტეტში შევლენ: თითო წარმომადგენელი ამიერკავკასიის სახალხო კომისარიატებისა: ფინანსთა, სასურსათოსი, უმაღლესი ეკონომიური საბჭოსი, რესპუბლიკათა კავშირის სახელმწიფო ბანკის ამიერკავკასიის განყოფილებისა, ცენტრალურ კოოპერატივთა კავშირის ამიერკავკასიის განყოფილებისა, გლეხთა—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრთა შედგენილობიდან და პერსონალურად დანიშნულნი მცოდნე პირნი. კომიტეტის პერსონალურ შედგენილობას დაამტკიცებს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი.

2. მოწყოს ამიერკავკასიის ფედერაციაში შემაჯალ თვითეული რესპუბლიკის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან სოფლის მეურნეობისა და სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის დახმარების რესპუბლიკანური კომიტეტისათანადო რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის თავმჯდომარეობით, რომელსაც ჰყავს ერთი მოადგილე; კომიტეტში შევლენ: ორი წარმომადგენელი მიწათმოქმედების სახ. კომისარიატისა, თითო წარმომადგენელი სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოსი, ეკონომიური თათბირისა, კოოპერატივთა რესპუბლიკანურ კავშირისა, ამიერკავკასიის ფინანსთა სახ. კომისარიატის რწმუნებულისა, ამიერკავკასიის სასურსათო სახ. კომისარიატის რწმუნებულისა, გლეხთა—ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრთა შედგენილობიდან—და პერსონალურად დანიშნულნი მცოდნე პირნი. რესპუბლიკანური კომიტეტის პერსონალურ შედგენილობას დაამტკიცებს სათანადო რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი.

3. ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობისა და სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის დახმარების კომიტეტის საშუალებანი შესდგება:

ა) სპეციალური თანხებიდან, რასაც გადასდებს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ბ) სპეცია-

ლური თანხებიდან, რასაც გადასდებს ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი; ეს თანხები რესპუბლიკათა კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ გადადებული თანხის 50 პროცენტზე ნაკლები არ უნდა იყოს.

II.

4. ამიერკავკასიის დახმარების კომიტეტის საერთო კონტროლისა და ხელმძღვანელობის ქვეშ, რაც განხორციელდება რესპუბლიკანური დახმარების კომიტეტების მეშვეობით, მოხდეს სასოფლო-სამეურნეო კრედიტის რესპუბლიკანურ (აზერბაიჯანისა, სომხეთისა და საქართველოსი) საზოგადოებათა მოწყობა.

5. სასოფლო-სამეურნეო კრედიტის რესპუბლიკანურ საზოგადოების დამფუძნებელი არის კუთვნილებისამებრ: ა) მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი; ბ) სახელმწიფო ბანკი, ან სახალხო ბანკი; გ) კოოპერატივთა კავშირი; დ) სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველო; ე) რესპუბლიკათა კავშირის სახელმწიფო ბანკის განყოფილება; ვ) ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს განყოფილება; ზ) ყველა გაერთიანებული სამეურნეო სახალხო კომისარიატი თავისი რწმუნებულის სახით და თ) სრულიად რუსეთის კოოპერატიული ბანკის განყოფილება. გარდა ამისა, დამფუძნებელთა რიცხვში შეიძლება შევიდეს სხვა საერთო-ფედერატიული და რესპუბლიკანური დაწესებულება, საზოგადოებრივი ორგანიზაცია, საწარმო და კერძო მოქალაქე, რომელნიც დაინტერესებულნი არიან სოფლის მეურნეობის განვითარებით.

6. საზოგადოების ძირითადი კაპიტალი შესდგება დამფუძნებელთა მიერ თავიანთი პაიების შესყიდვით და გლეხთა პაიების გამოშვებით.

გლეხთა პაის ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს დაფუძნებითი პაის ღირებულების ერთ მეათედს.

შენიშვნა. მე-5 მუხლში ჩამოთვლილ დამფუძნებელთა მონაწილეობის ოდენობა სასოფლო-სამეურნეო კრედიტის თვითეულ რესპუბლიკანურ საზოგადოებაში არ შეიძლება იყოს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ გადადებული თანხის ერთ მესამედზე ნაკლები.

7. აღნიშნული წესით შედგენილი საზოგადოების მთელი ძირითადი კაპიტალი მოხმარდება მხოლოდ სოფლის მეურნეობისათვის კრედიტის მიცემის საქმეს (ინვენტარისა, მუშა-საქონლისა და თესლეულობის ყიდვა, მიწის სასუქი, მელიორაცია, აბრეშუმის ქვის თესლი და მანქანებთან ბრძოლა). ამასთანავე საზოგადოება არ შექმნის თავის ადგილობრივ ორგანიზაციას, არაჰედ დაემყარება არსებულ დაბალ კოოპერატივებს.

8. გლეხთა პაის მფლობელს, როგორც ცალკე პირთ ან მათ ორგანიზაცია-კოოპერატივს, უკეთეს ესენი ეწყვიან სოფლის მეურნეობას, ეძლევათ შემდეგი შეღავათი: ა) უფლება სასურსათო გადასახადის შეტანის ვადის განგრძობისა ნ თვემდე მათი კუთვნილი პაიების თანხის რაოდენობის ფარგლებში და ამ თანხის გარანტიის ქვეშ; ბ) თვითეული საზოგადოების პირველი ორი წლის არსებობის განმავლობაში ამიერკავკასიის ფედერაციის მთავრობა იძლევა გარანტიას გადაიხადოს ამ საზოგადოების გლეხთა პაის დივიდენდი იმ რაოდენობით, რაც



არ უნდა იყოს წლიურ 3 პროცენტზე ნაკლები ოქროს ვალიუტის მიხედვით და ამიერკავკასიის ფულის ნიშნებზე გადატანით ოფიციალური კურსისაშენობ; გ) გლენს, პაის მებატრონეს, ეძლევა უპირატესობა კრედიტის მიღებაში სასოფლო-სამეურნეო კრედიტის საზოგადოებათაგან; დ) უკეთეს საზოგადოების ლიკვიდაცია მოხდება, გლენი, პაის მებატრონე, დაკმაყოფილებულ იქნება უპირატესად პაის დანარჩენ მებატრონეებთან შედარებით, თავისი საპაიო შენატანის მიხედვით.

9. სესხი მიეცემა ვადით არა უმეტეს სამი წლისა.

10. მიწათმოქმედების სახ. კომისარიატისა და სხვა დაწესებულების მიერ საზოგადოებას შეიძლება მიეცეს, ხელშეკრულების საფუძველზე, სპეციალური კაპიტალი სპეციალური დანიშნულებით სოფლის მეურნეობის აღდგენისათვის.

11. სახელმწიფოს მიერ გაცემული სათესლე ფონდი ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცემა საზოგადოებებს სპეციალურ სათესლე კაპიტალად და თვითვე საზოგადოებას უფლება აქვს გასცეს ხოლმე სათესლე სესხი და მოიხმაროს თავის სასარგებლოდ შეპირებული ნაწილი აღნიშნული სესხისათვის გადახდენიებული პროცენტისა. ფონდის გადაცემა, სხვათა შორის, შეიძლება განხორციელებულ იქნეს აგრეთვე სავალო ვალდებულებით იმ სათესლე სესხისა, რაც აქვს მიწათმოქმედების სახ. კომისარიატს, სასურსათო სახ. კომისარიატს და მათ ორგანიზაციებს.

12. საზოგადოებას უფლება ეძლევა გადაახდევინოს ყველა მის მიერ გაცემული სესხი, სათესლე სესხის გამოუკლებლად, უდავო წესით.

13. გლენთა პაის ყველა მფლობელს აქვს ხმის მიცემის უფლება საერთო კრებაზე, თანაბრად მისი კუთვნილი პაიების რიცხვისა. ის პირი და დაწესებულება, რომელსაც აქვს დაფუძნებითი პაი, სარგებლობს ხმის ისეთ რაოდენობას, რაც შეეთანხმება ამ პაიების ღირებულებას.

14. რათა მოსახლეობისათვის, რომელიც თავის შრომით მონაგარს ინახავს სასოფლო-სამეურნეო კრედიტის საზოგადოებაში, შეიქმნას რაც შეიძლება მეტი სარგებლობა, საზოგადოებას და აგრეთვე მის რწმუნებულ კოოპერატივს ადგილობრივ, ნება ეძლევა ანაბარის მიღების დროს დააზღვეოს ფულის ნიშნები ფასის დაკარგვისაგან. ამიერკავკასიის ფედერაციის მთავრობა თავის თავზე იღებს ასეთ დაზღვევის გარანტიას.

15. საზოგადოებას და მის რწმუნებულ კოოპერატივს უფლება ეძლევა მიიღოს ანაბარი ნატურად და გასცეს საანაბარო მოწმობა.

16. ანაბარი, რასაც მიიღებს საზოგადოება ან კოოპერატივი, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება შეკრულ იქნეს ან მოხდეს მისი კონფისკაცია სხვაგვარად, თუ არ სასამართლო ხელისუფლების დადგენილებით.

17. დოკუმენტი, რასაც საზოგადოება გასცემს ვადიანი ანაბარისათვის შეიძლება მიღებულ იქნეს გირაოდ მთავრობის დაწესებულებასთან დადებული ხელშეკრულებით.

ძირითადი კაპიტალის შესაქმნელად 1923 წლისათვის საერთო-ფედერაციულ სახელმწიფო საშუალებათაგან ამიერკავკასიის დახმარების კომიტეტს მიეცემა 700.000. მან ოქროთი.

18. ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს ევალეზა ერთი თვის განმავლობაში განსახლელოს წესი ზემოაღნიშნული სასოფლო სამეურნეო კრედიტის საზოგადოებათა მოწყობისა და შეიმუშაოს ნორმალური წესდება.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია**.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ბ. თალიბლი**.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წლის ივლისის 8-ს თარიღის 155 №-ში.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომისიებისა და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წ. იენისისის 29.

144. ადგილობრივი გადასახადისა და გამოსაღებისათვის უკიდურესი განაკვეთის დაწესების შესახებ საჩერვონეცო მანეთით.

ადგილობრივი გადასახადისა და გამოსაღების უკიდურესი განაკვეთის მოწესრიგებისათვის საჩერვონეცო მანეთობით—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო აღდგენენ:

I) საერთო სახელმწიფოებრივი, სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი ბიუჯეტისათვის მიკუთვნებულ ამიერკავკასიის სოც. ფედერ. საბჭ. რესპუბლიკის სახელმწიფო შემოსავლისა და გასავლის შესახებ 1923 წ. აპრილის 2 თარიღით გამოცემული დეკრეტის („ზარია ვოსტოკა“ 1923 წ. აპრილის 12 № 81) მე-2 კარის მე-3 თავის მე-6 მუხლით გათვალისწინებული განაკვეთის შესაცვლელად—დაწესებულ იქნეს შემდეგი უმაღლესი უკიდურესი განაკვეთი საჩერვონეცო მანეთობით ადგილობრივი გადასახადისა და გამოსაღებისათვის.

1. ზიდვა-ტარების მრეწველობისათვის სეზონში ზიდვა-ტარებაში მომუშავე ცხენზე და საქონელზე:

- ა. ქალაქად (მე-6 პ.) 7 მან.
- ბ. ქალაქ-გარე დასახლებულ ადგილას (მე-5 პ.) 2 მ.—50 კ.
- 2. საეტლო ცხენებისა და ეტლებისათვის ნახევარ წლობით:
 - ა. ქალაქად—(მე-8 პ.) ცხენზე და ეტლზე 14 მან.
 - ბ. ქალაქ-გარე დასახლებულ ადგილას (მე-9 პ.):
 - ცხენზე და ეტლზე — 5 მან. ეტლზე 2 მან. და 50 კ.
- 3. ველოსიპედისა და თვითმობილი ეტლისათვის ნახევარწლობით:
 - ქალაქად (მე 9 პ.) და ქალაქ-გარე დასახლებულ ადგილას (მე-8 პ.):

- ა. ველოსიპედზე 1 მან. და 50 კაპ.
- ბ. თვითმობრავ ეტლისა და მოტორიანი ნავჭურჭლის თვით-
ულ ძალზე 2 მან. და 30 კაპ.
- გ. იახტაზე 18 მან.
- დ. ტვირთმზიდავის თვითეულ ძალზე 1 მან.
- 4. ბაზარზე გასაყიდად მორეკილ საქონლისათვის ქალაქად (მე-11-ე მუხ.).
 - ა. თვითეულ მსხვილფეხა საქონელზე 50 კაპ.
 - ბ. თვითეულ წვრილფეხა საქონელზე 10 კაპ.
- 5. საქონლისა და სხვა შინაურ ცხოველთათვის ქალაქად (მე-11 პ.). ნახე-
ვარ წლობით:
 - ა. თვითეულ მსხვილფეხა საქონელზე 1 მან.
 - ბ. თვითეულ წვრილფეხა საქონელზე — 20 კ.
 - გ. ძალზე 1 მან.
- 6. იმ პირთათვის, რომელნიც საშინაო საქიროებისათვის დაქირავებულ
შრომის გამოიყენებენ—ნახევარ წლობით—ქალაქად (მე-14 პ.):
 - ა. ერთ მსახურზე 5 მან.
 - ბ. ერთ მსახ. მეტისათვის თვითეულზე 14 მან.
- 7. პლაკატისა, აფიშისა და განათებული რეკლამისათვის ქალაქად (მე-16 პ.):
 - ა. პლაკატზე და აფიშაზე თვითეული ათასი ცალის ერთი
ოთხკუთხი ვერშოკისათვის 2 კაპ.
 - ბ. განათებულ რეკლამაზე—რეკლამის თვითეული ვერშოკი-
სათვის—თვიურად 4 კაპ.
- 8. გამოსაღები საზოგადოებრივი სასწოროს სარგებლობისათვის:
 - ა. ქალაქად (მე-17 პ.) ფუთზე 2 კაპ.
 - ბ. ქალაქ-გარე დასახლებულ ადგილას (მე-6 პ.) 1 კაპ.
- 9. საჩინაწერო გამოსაღები თვითეული ჩაწერისათვის:
ქალაქად (მე-20 პ.) 10 კაპ.

II. ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. ფინანსთა სახალხო კომისი-
არიტმა ცალკე ინსტრუქციით უნდა შეიმუშაოს წესი ადგილობრივი გადასახა-
დისა და გამოსაღების საჩერონეცო განაკვეთის ამიერკავკასიის ფულის ნიშნებზე
გადატანისა ამ გადასახადის გადახდევენების დროს საკოტერო კომისიის კურ-
სის მიხედვით.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია**.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ.
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი**.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ბ. თაღიბლი**.

გამოქვეყნებულია „ზარია ეოსტოკა“-ს 1923 წ. ივლისის 8-ს თარღის 155 №-ში.



დეკრეტი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სოც. ფედერ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოში.

1923 წ. ივნისის 11.

145. მიმღებ-გადამცემი და მიმღები რადიო-სადგურის მქონებლობის აკრძალვის შესახებ ყოველი პირისა და დაწესებულებისათვის.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. აღეკრძალება ყოველ პირსა და დაწესებულებას, როგორც კერძოს, ისე საზოგადოებრივსა და მთავრობისას, აგრეთვე უცხო სახელმწიფოს წარმომადგენლობას და საკონსულოს—იქონიონ მთლად ამიერკავკასიის ტერიტორიაზე მიმღებ-გადამცემი და მიმღემი რადიო-სადგური, იმ გამოწვევის გარდა, რაც აღნიშნულია ამა დეკრეტის მე-2 და მე-3 მუხლში.

2. უცხო სახელმწიფოს წარმომადგენლობას და საკონსულოს უფლება აქვს იქონიონ, როგორც მიმღებ-გადამცემი, ისე მიმღები რადიო-სადგური მხოლოდ სათანადო სახელმწიფოს მთავრობის ამიერკავკასიის სოც ფედერ. საბჭოთა რესპუბლიკების მთავრობასთან შეთანხმების საფუძველზე.

3. მთავრობისა და საზოგადოებრივ დაწესებულებას შეუძლიან იქონიონ ზემოაღნიშნული სადგური ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარის განსაკუთრებული ნებართვით.

4. ამა დეკრეტის 1 მუხლში აღნიშნული პირნი და დაწესებულებანი, რომელთაც კი აქვთ რადიო-სადგური და მიმღები რადიო, მოვალენი არიან სამი დღის განმავლობაში დახურონ ეს სადგურები.

5. ამა დეკრეტში აღნიშნულ დებულებათა აღსრულებაში მოყვანა დაელება ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატს.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

ამიერკავკასიის სოც. ფედერ. საბჭ. რესპ.
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე მ. ორახელაშვილი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი ზ. თალიბიძე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წლის ივლისის 12-ს თარიღის 158 №-ში.

დადგენილება ამიერკავკასიის სანატრალური ალმას- რუბაგელი კომისიისა და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საზღ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საზღ. მს.

146. ადგილობრივი გადასახადის წესების შესახებ სამრეწველო ბა- ღებისა და ბოსტნებისათვის.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერ-
კავსიის სოც. ფედ. საზღ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საზღ. მს. მიერ სა-
ერთო-სახელმწიფოებრივი, სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი ბიუჯეტისა-
თვის მიუთვნებულ ამიერკავკასიის სოც. ფედ. საზღ. რესპუბლიკის სახელმწიფო
შემოსავლისა და გასავლის შესახებ 1923 წ. აპრილის 2-ს თარიღით გამოცემუ-
ლი დეკრეტის მე-4 კარის მე-3 თავის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის (განყოფილე-
ბა ქალაქის დასასლებული ადგილის შესახებ) საფუძველზე—ამიერკავკასიის ცენ-
ტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საზღ. მს.
რესპუბლიკის სახალხო კომისართა საზღ. მს. ადგენენ:

— დამტკიცდეს და ძალაში შევიდეს ქვემოაღნიშნული წესები ადგილობ-
რივი გადასახადისა სამრეწველო ბაღებსა და სამრეწველო ბოსტნებზე.

1. გადასახადი უნდა დაედოს ყველა ხეხილის ბაღებს, ვენახსა, ბოსტანსა
და ბაღჩას, რომელიც გაშენებულია ქალაქში და ქალაქის ხაზის შიგნით მდებარე
რაიონში, ვარდა იმ გამოჩაკლისისა, რაც აღნიშნულია მე-2 მუხლში.

შენიშვნა. ბაღი და ბოსტანი, რომელიც მდებარეობს ქალაქისა და
მისი რაიონების გარეთ, ან ისეთ ქალაქში, რომლის მოსახლეობისთვისაც
სოფლის მეურნეობა შეადგენს ძირითად საქმეს (სასოფლო-სამეურნეო გა-
დასახადის დეკრეტის 1-ლი მუხლის 1-ლი შენიშვნა)—დაიხვევება ერთი-
ანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის საერთო საფუძველზე.

2. გადასახადისაგან განთავისუფლდება: ა) ბოსტანი და ბაღი, რომელიც
ერთი მეპატრონის სარგებლობაში 150 ოთხკუთხე საყენზე ნაკლებია, უკეთუ
ასეთ ბოსტანში მოწყობილი არ არის შუშაბანდიანი სათბილობელი უჯრები
(პარნიკი), რისი ექსპლუატაციაც ხდება სამრეწველო მიზნით; ბ) ბაღი და ბოს-
ტანი, რომელიც კოლექტიური სარგებლობისათვის მიეცა სახელმწიფო დაწესე-
ლებათა და საწარმოთა მუშა-მოსამსახურეებს, უკეთუ ერთ მონაწილეზე კოლექ-
ტიურ სარგებლობაში მოდის 30 ოთხკუთხე საყენზე ნაკლები; გ) ბოსტანი ან მი-
სი ნაწილი ხორბლეულის კულტურისათვის გამოყენებული; დ) ხეხილის ახალი ნა-
შენი 7 წლისაზე ნაკლები ხნისა; ე) ბაღი და ბოსტანი, სადაც სწორმოებს სა-
მოსწავლო-საჩვენებელი მუშაობა.

3. გადასახადი გადახდება იმ პირს, დაწესებულებას და ორგანიზაციას,
რომელთა განკარგულებაშია გადადის მებაღეობისა და მებოსტნეობის პროდუქ-
ტები, მიუხედავად იმისა, გადაცემულია ბაღი და ბოსტანი მათ მუდმივ სარგებ-

ლობაში, თუ ისინი დროებით ახდენენ მის ექსპლოატაციას იჯარის საფუძველზე და სხვ.

4. ქალაქის ბალისა და ბოსტნის გადასახადის რაოდენობა განისაზღვრება ზოლთა განაწილების მიხედვით, რაც დადგენილია სარეწავე გადასახადის აკრეფისათვის და საეწენზე, ჩერვონეცის ანგარიშით, არ უნდა აღემატებოდეს უმაღლესი ზოლისათვის 1 კაპიკს, საშუალოზე უმაღლესი ზოლისათვის—სამ მეოთხედ კაპიკს, საშუალო ზოლისათვის—ნახევარ კაპიკს და საშუალოზე დაბალი ზოლისათვის—ერთ მეოთხედ კაპიკს.

5. სამრეწველო ბალისა და ბოსტნის გადასახადის აკრეფის დასაწყისი ვადა დადგენილ იქნება საქალაქო და სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტების მიერ მებაღებობისა და მებოსტნეობის პროდუქტთა რეალიზაციის დროის მიხედვით.

6. ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატს ევალება ამა წესების დასამტკიცებლად და განსავითარებლად გამოსცეს ინსტრუქცია მათი შეფარდებისათვის.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი

კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვ. სტურუა.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე მ. ორახელაშვილი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი

კომიტეტის მდივანი ბ. თალიბლი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წ. ივლისის 14-ს თარიღის 160 №-ში.

დადგენილება ამიერკავკასიის სანსტრალური აღმასრულებელი კომისარიატისა და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ.

1923 წლის ივლისის 9.

147. აქციზის დაწესების შესახებ შირის კალოშებზე.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დაწესებულ იქნეს აქციზი, როგორც ადგილობრივი წარმოებისა, ისე უცხოეთიდან შემოტანილი შირის კალოშებზე.

2. ფაბრიკიდან გასაყიდად გამოშვებული შირის კალოშების თვითეულ წყვილზე დაწესდეს მტკიცე განაკვეთის აქციზი შემდეგი რაოდენობით: ა) ადგილობრივი წარმოების კალოშზე—0,0330 ჩერვონ. და ბ) უცხოეთიდან შემოტანილ კალოშებზე 0,0660 ჩერვონ.

შენიშვნა. საბავშვო კალოშისათვის გადახდევინებულ იქნება აქციზის ნახევარი.

3. აქციზი გადახდევინებულ უნდა იქნეს შირის კალოშის გამოშვების დროს მისი წარმოების ადგილიდან, საბაზისო საწყობიდან ან საბაჟოდან.

4. საფინანსო კომიტეტს უფლება ეძლევა იმ ვადაზე, როცა იგი საჭიროდ დაინახავს, გამოიანგარიშოს ხოლმე ამა დადგენილების მე-2 მუხლით დაწესებული განაკვეთი ამიერკავკასიის ფულის ნიშნებით, რუსეთის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახელმწიფო ბანკის ბანკნოტების კურსის ცვალებადობის მიხედვით.

5. საერთო ხელმძღვანელობა იმ საქმეთა, რაც შეეხება შირის კალოშების აქციზის გადახდევინებას—დაევალება ფინანსთა სახალხო კომისარიატს.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვ. სტურუა.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე მ. ორახელაშვილი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი ბ. თალიბლი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკას“-ს 1923 წ. იელისის 14-ს თარიღის 160 №-ში.

დეკრეტი ამიერკავკასიის სენსრალური აღმასრულებელი კომიტეტის და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რეს. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წ. იელისის 9.

148. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფისთვის ტერიტორიის რაიონებად განაწილების შესახებ.

ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ 1923 წ. აპრილის 23 თარიღით გამოცემული დეკრეტის მესამე მუხლის პირველი შენიშვნის განსავითარებლად ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო აწესებენ რაიონების შემდეგ განაწილებას ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფისათვის ნატურად ან ფულად აზერბაიჯანში და საქართველოში.

1. გადასახადის ნიტურად აკრეფის რაიონებს, იმ პირობით, რომ მოსახლეობას უფლება აქვს—იგი ფულადაც გაილოს, მიეკუთვნება.

აზერბაიჯანში:

მაზრები: განჯისა, შემახისა, ლენქორანისა, სალიანისა, ყუბისა, ყაზახისა, შამხორისა, აღდაშისა, გეოქჩაისა და შუშისა.

საქართველოში:

მაზრები: გორისა, თიანეთისა და ზუგდიდისა; სიღნაღის მაზრის შირაქისა, ალაზან-გაღმისა და ქიზიყის რაიონები; აჭიარისტანის მაზრები: ქობულეთისა (ჩახათის თემის გამოკლებით), ბათუმისა და აჭარისწყლისა; სამხრეთ ოსეთი.

2. გადასახადის ფულად აკრეფის რაიონებს მიეკუთვნება:

აზერბაიჯანში:

მაზრები: ქუბადლინისა, ყარაიგინისა, ნუხისა, ზაქათლისა, ბაქოსი, ჯეევან-შირისა და ნახიჩევანის მხარე.

საქართველოში:

მაზრები: ახალქალაქისა, ახალციხისა, ბორჩალოსი, თელავისა, სიღნაღისა (პირველ მუხ. აღნიშნული რაიონების გამოკლებით); ტფილისისა, დუშეთისა, ბორჯომისა, ქუთაისისა, შორაპნისა, ოზურგეთისა, სენაკისა, რაჭისა და ლეჩხუმისა; აფხაზეთი; აჭარისტანის მაზრები: ხეთისა, ხულოსი და ქობულეთის მაზრის ჩახათის თემი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვ. სტურუა.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე მ. ორახელაშვილი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ბ. თალიბლი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წ. ივლისის 17-ს თარიღის 162 №-ში.

დადგენილება № 63 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წლის ივლისის 10.

149. წესი საქმეთა წარმოებისა უმაღლეს საარბიტრაჟო კომისიაში (უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან) და რესპუბლიკანურ საარბიტრაჟო კომისიებში.

გამოცემულია თანახმად ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1923 წლის აპრილის 23-ს თარიღის დადგენილების 21 მუხლისა.

მუხ. 1. საქმეთა წარმოება რესპუბლიკანურ საარბიტრაჟო კომისიაში და ამიერკავკასიის უმაღლეს საარბიტრაჟო კომისიაში მოხდება მსგავსად სამოქალაქო საქმეთა წარმოების წესისა საერთო სასამართლოებში, იმ გამოწვევებით, რაც გამოწვეულია საარბიტრაჟო კომისიების ქვემდებარე საქმეთა თავისებურობით.

მუხ. 2. რესპუბლიკანური საარბიტრაჟო კომისია და ამიერკავკასიის უმაღლესი საარბიტრაჟო კომისია თავიანთ ქვემდებარე საქმეებს გადასწყვეტენ სასამართლო საკრებულოში, რომელიც შესდგება თავმჯდომარისა და ორი წევრი-

საგან. სასამართლო საკრებულოს შედგენილობაში საეალდებულოა შედიოდეს ერთი იურისტი და ერთი მეურნეობის დარგის მომუშავე.

მუხ. 3. სასამართლოს სხდომების დღე და საათი დადგენილ იქნება საარბიტრაჟო კომისიებისა და ამიერკავკასიის უმაღლესი საარბიტრაჟო კომისიის განმწესრიგებულ სხდომაზე.

მუხ. 4. სასარჩელო განცხადებათა და სხვა ქაღალდების მისაღებად საარბიტრაჟო კომისიის თავმჯდომარე დანიშნავს საარბიტრაჟო კომისიის პასუხისმგებელ თანამშრომელთა მორიგეობას. სასარჩელო განცხადება შეიძლება გავზავნილ იქნეს ფოსტით; ამ შემთხვევაში განცხადებას უნდა დაერთოს ქვითარი სასამართლო ბაჟისა და სხვა გამოსაღების გასტუმრების შეხახებ, უკეთეს განცხადების შემტანი სახელმწიფო დაწესებულება ან საწარმო, მომქმედი წესები, განთავისუფლებული არ არის ბაჟისა და გამოსაღების გადახდისაგან. უკეთეს ბაჟი და გამოსაღები შეტანილ არ იქნება ან შეტანილ იქნება არა სრულად ან და სასარჩელო განცხადებაში შემჩნეულ იქნება ისეთი რამ, რაც არ ეთანხმება სასარჩელო განცხადებათა შეტანის წესებს, — მორიგე იხელმძღვანელებს ამა წესების მე-8 მუხლში აღნიშნულ განმარტებას.

მუხ. 5. სასარჩელო განცხადებაში აღნიშნულ უნდა იქნეს: ა) სწორი სახელწოდება დაწესებულებისა ან საწარმოსი, რომელიც წარადგენს სარჩელს და იმ დაწესებულებისა ან საწარმოსი, რომელსაც მოსარჩლე შიამქცევს თავის მოთხოვნას; ბ) მისამართი მოსარჩიელისა და მოპასუხისა — უწყების ვასაგზავნიად; გ) სახელდობრ, რაში ჰქედავს მოსარჩიელე თავისი უფლების დარღვევას მოპასუხე მხარის მიერ; დ) განსაზღვრა მოსარჩიელის მიერ მოპასუხისადმი მიქცეული მოთხოვნისა; ე) ფასი სარჩელისა (გარდა იმ საქმეთა, რომელიც შეფასებულ არ უნდ იქნეს).

მუხ. 6. სასარჩელო განცხადებას დართულ უნდა ექნეს დედანი ან სათანადოდ შემოწმებული ასლი ყველა დოკუმენტისა, რაც დაასაბუთებს სასარჩელო მოთხოვნას; აგრეთვე უნდა იქნეს ასლები მოპასუხე მხარისათვის.

მუხ. 7. სარჩელის ფასის სასამართლო ბაჟი 1⁰/₆-ის რაოდენობით მოსარჩიელემ უნდა შეიტანოს სასარჩელო განცხადების წარდგენის დროს. იმ სარჩელისათვის, რომელიც შეფასებულ არ უნდა იქნეს, საარბიტრაჟო კომისია განსაზღვრავს სარჩელის ფასს თავისი შეხედულებისამებრ, ხოლო არა უმეტეს 50 მან. ოქროთი, რომელი თანხაც უნდა შეიტანოს მოსარჩიელემ შეიდი დღის განმავლობაში დღიდან საარბიტრაჟო კომისიის მიერ საამისო დადგენილებზე გამოტანისა. ბაჟი უნდა შეიტანოს მოსარჩიელემ სასარჩელო განცხადების წარდგენის დროს, მოპასუხე — შევებებული სასარჩელო განცხადების წარდგენის დროს, ხოლო მესამე პირმა დამოუკიდებელი მოთხოვნის განცხადების წარდგენის დროს.

შენიშვნა. გამოსაღები წარმოების ხარჯის ასანაზღაურებლად გადახდეინებულ უნდა იქნეს იმ საფუძველზე და იმ რაოდენობით, რაც დაწესებულია რესპუბლიკათა სასამართლოებისათვის და სათანადო საარბიტრაჟო კომისიისა და ამიერკავკასიის უმაღლესი საარბიტრაჟო კომისიის განსაზღვრისამებრ.

მუხ. 8. უკეთუ მორიგე წარდგენილ სასარჩელო განცხადებაში შეამჩნევს ისეთ რამეს, რაც არ ეთანხმება სასარჩელო განცხადებათა შეტანის წესს,—იგი გაუკეთებს წარწერას თვით განცხადებას აღმოჩენილი დეფექტების შესახებ და დაუყოვნებლივ აცნობებს ამის თაობაზე მოსარჩიელს, მისცემს რა მას შვიდი დღის ვადას შეცდომების გასასწორებლად. უკეთუ შვიდი დღის ვადა გადაცილებულ იქნა, თავმჯდომარის ან მისი მოადგილის განკარგულებით მოსარჩიელს დაებრუნება სასარჩელო განცხადება, ხოლო სასამართლო ბაჟი დაბრუნებულ არ იქნება. უკეთუ იგივე სარჩელი ხელახლად იქნა წარდგენილი, ყველა საამისოდ დაწესებული მოთხოვნის დაცვით,—ახალი სასამართლო ბაჟი მოსარჩიელს არ გადაჰხდება.

მუხ. 9. შეამჩნევს რა სარჩელის არა მართლიერ შეფასებას, საარბიტრაჟო კომისია სათანადოდ შეცვლის სარჩელის ფასს და ვალდებულჰყოფს მოსარჩიელს გადაიხადოს, რაც ბაჟს აკლია, დანიშნავს რა დაკლებული თანხის შეტანისათვის შვიდი დღის ვადას.

მუხ. 10. სასარჩელო განცხადების მიღებისას, მდივანი მოახსენებს მას საარბიტრაჟო კომისიის თავმჯდომარეს ან მის მოადგილეს, რომელიც აღნიშნავს განცხადებაზე საქმის გარჩევის დღეს, შეძლებისდაგვარად უახლოეს ვადაზე, და დანიშნავს მომხსენებლად საარბიტრაჟო კომისიის ერთ-ერთ წევრს.

მუხ. 11. საარბიტრაჟო კომისიის სასამართლო სხდომისათვის მხარეთა, მოწმეთა, ექსპერტთა და სხვა პირთა გამოწვევა მოხდება უწყებებით, აგრეთვე დებეშით, ტელეფონოგრაფით და სხვა საშუალებით, რასაც დააწესებს საარბიტრაჟო კომისია.

მუხ. 12. უწყება შედგენილი უნდა იქნეს ორ ცალად; მეორე ცალზე უნდა იქნეს ხელმოწერა, რომ უწყება ჩაბარებულია. უწყება უნდა ჩაბარდეს გამოწვეული დაწესებულების ან საწარმოს რეგისტრატურას, ხოლო ცალკე პირთა (მოწმე, ექსპერტი) გამოწვევის დროს—პირადად გამოწვეულს, იმ შემთხვევაში კი, როცა ეს პირი დროებით ადგილობრივ არ იმყოფება—მისი ოჯახის რომელიმე წევრს; უკეთუ ასეთი წევრიც არ არის—სახლის გამგეობას. გამოწვევის გაგზავნა 11 მუხლში აღნიშნული სხვა საშუალებით სწარმოებს ხელწერილის ან სხვა ცნობის უკან მიღებით, რომ აღრესატს მოწვევა ჩაჰბარდა.

მუხ. 13. სასარჩელო განცხადებისა და დართული დოკუმენტების ასლი გაეგზავნება მოპასუხეს. უკანასკნელი ვალდებულია, შვიდი დღის განმავლობაში დღიდან ასლების მიღებისა, წარმოადგინოს წერილობითი პასუხი.

მომხსენებლად დანიშნულ საარბიტრაჟო კომისიის წევრს შეუძლიან, უკეთუ ამას საჭიროდ დაინახავს, საქმის გარემოების ყოველ მხრივ გამოსარკვევად მოსთხოვოს მხარეთ წარმოადგინონ დამატებანი წერილობითი ფორმით; მხარენი ვალდებულ არიან წარადგინონ ყოველივე ეს საამისოდ დანიშნული ვადის განმავლობაში. საარბიტრაჟო კომისიისათვის წარდგენილ ყველა წერილობითი განცხადებას და დოკუმენტს უნდა ჰქონდეს ასლი მეორე მხარისათვის.

მუხ. 14. მოპასუხე მხარეს უფლება აქვს განაცხადოს შესაგებებელი სარჩელი არა უგვიანეს, ვიდრე პირველსავე საპასუხო ქაღალდში, ხოლო უკეთუ იგი

შეტანილ არ იქნა, — საქმის გასარჩევად დანიშნულ პირველსავე სხდომაში; ამასთანავე შესრულებულ უნდა იქნეს ყველა მოთხოვნა, რაც საერთოდ დადგენილია სარჩელის წარდგინისათვის. უკეთეს მოპასუხეს სასარჩელო განცხადებისა და დოკუმენტების ასლი ჩაბარებულ იქნა შვიდ დღეზე უფრო გვიან საქმის გარჩევის დღემდე და იგი მოისურვებს წარადგინოს შესაგებებელი სარჩელი, საარბიტრაჟო კომისიას, მისი თხოვნით, შეუძლიან გადასდოს საქმის გარჩევა და მისცეს მოპასუხეს შვიდი დღის ვადა, რათა წერილობითი ფორმით გამოსთქვას თავისი შესაგებებელი მოთხოვნები. შესაგებებელი სარჩელის წარდგენა დადგენილი წესების დარღვევით, არ არის საბუთი მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნათა განხილვის გადადებისათვის.

მუხ. 15. რწმუნებულება იმ სახელმწიფო დაწესებულებისა ან სახელმწიფო საწარმოს სახელით, რომელიც განთავისუფლებულია სარეწვეი გადასახდისაგან, შედგენილ უნდა იქნეს დაწესებულების ან საწარმოს ხელმძღვანელის ხელმოწერით და ბეჭდის დასმით, ხოლო დანარჩენ სახელმწიფო დაწესებულებათა რწმუნებულება შესდგება ვეკილოზის სახით, რაც შემოწმებულ უნდა იქნეს სანოტარო წესით. უფლება საკუთარ მოთხოვნაზე უარის განცხადებისა, მთლად და ნაწილობრივ, აღიარება მეორე მხარის უფლებისა და საქმის მორიგებით გათავება — ცალკე უნდა იქნეს რწმუნებულებაში აღნიშნული. უარის თქმას, აღიარებას და მორიგებით გათავებას ძალა აქვს იმ პირობით, უკეთეს საარბიტრაჟო კომისია სცნობს, რომ იგი არ ეწინააღმდეგება კანონს და არ არის საზიანო სახელმწიფო ინტერესებისათვის.

მუხ. 16. საარბიტრაჟო კომისიის თვითიული სასამართლო სხდომისათვის სამდივნო დაამზადებს ეურნალს, რომელშიაც ჩაიწერება განსახილველი საქმენი და თავმჯდომარის მიერ აღინიშნება მიღებული რეზოლიუცა საარბიტრაჟო კომისიისა. თვითიულ საქმეზე შესდგება ცალკე ოქმი.

მუხ. 17. უკეთეს საარბიტრაჟო კომისიის წარმოებაში აღმოჩნდება ორი ან მეტი, ერთმანეთზე დაკავშირებული საქმე, — საარბიტრაჟო კომისიის შეხედულებისამებრ, შეიძლება ეს საქმენი შეერთებულ და გადაწყვეტილ იქნეს ერთად. ასევე, საარბიტრაჟო კომისიას შეუძლიან, უკეთეს მიზანშეწონილად მიიჩნიეს, გაჰყოს ერთი სასარჩელო საქმე რამდენსამე ცალკე წარმოებად.

მუხ. 18. საარბიტრაჟო კომისიის სასამართლო სხდომას შეიძლება დაესწროს სახელმწიფო სამსახურში მყოფი პირი, სახელმწიფო საწარმოთა მოსამსახურე და სხვა პირი იმის ნებართვით, ვინც სხდომას თავმჯდომარეობს; ხოლო საარბიტრაჟო კომისიის მიერ დაკმაყოფილებული, ერთ-ერთი მხარის შუამდგომლობით, ან თვით საარბიტრაჟო კომისიის შეხედულებისამებრ — საქმე შეიძლება გაიჩიეს დახშულ კარბში.

შენიშვნა. კომისიის წევრი ვალდებულია გადააყენოს თავისი თავი და შეიძლება უკუქცეულ იქნეს მხარეთა მიერ, უკეთეს კომისიის გადასაყენებელი ან უკუსაქცივი წევრი, რომელიც შედის საკრებულოს შედგენილობაში, არის ერთ-ერთი პასუხისმგებელი ხელმძღვანელთაგანი იმ დაწესებულებისა თუ საწარმოსი, რომლის ქონებრივი დავაც უნდა განიხილოს ამ საკრებულომ.

მუხ. 19. საქმის განხილვის გადადება შეიძლება მოხდეს ორივე მხარის საერთო შუამდგომლობით, უკეთეს ამ შუამდგომლობას პატივსაცემად სცნობს საარბიტრაჟო კომისია.

მუხ. 20. საქმის განხილვა დაიწყება მოხსენებებით, რომელსაც საქმის შესახებ წარადგენს სხდომის თავმჯდომარე ან საარბიტრაჟო კომისიის ერთ-ერთი წევრი.

მუხ. 21. საქმის გარჩევა სწარმოებს საპაექრო პროცესის ნიადაგზე (დებულების 7 მუხლი). ორივე მხარეს აქვს თანასწორი უფლება ახსნა-განმარტების და დამამტკიცებელი საბუთის წარდგენისთვის. საარბიტრაჟო კომისიას უფლება აქვს, საჭირო შემთხვევაში, მოსთხოვოს მხარეთ, მესამე პირს ან დაწესებულებას წარადგინოს დოკუმენტები და საჭირო ცნობები, რაც დაადასტურებს ამა თუ იმ გარემოებას.

მუხ. 22. სხდომის თავმჯდომარე და საარბიტრაჟო კომისიის წევრები მისცემენ მხარეთ კითხვებს, რაც საჭირო იქნება საქმის ვითარების გამოარკვევისათვის.

მუხ. 23. უკეთეს მხარე განაცხადებს თხოვნას მოწმეებისა და ექსპერტების მოწვევის ან ადგილობრივ დათვალეირების მოხდენის შესახებ,—მან სისწორით უნდა აღნიშნოს ყველა ის გარემოება, რაც სურს ამ გზით გამოარკვიოს. საარბიტრაჟო კომისია დააკმაყოფილებს ასეთ შუამდგომლობას მარტოდენ იმ შემთხვევაში, უკეთეს სცნობს, რომ აღნიშნული გარემოება არსებითი მნიშვნელობისაა. უკეთეს ერთ-ერთი მხარის თხოვნით ან საარბიტრაჟო კომისიის შეხედულებისამებრ მოწმეები და ექსპერტები გამოწვეულ იქნებიან ან ადგილობრივ დათვალეირება მოხდება, — ხარჯი ამ მოქმედებათა შესრულებისა დაეკისრება ამა თუ იმ მხარეს, ან ორივე მხარეს, საარბიტრაჟო კომისიის შეხედულებისამებრ.

მუხ. 24. იმ შემთხვევაში, როცა საქმის ვითარების გამოსარკვევად საჭიროა გამოკითხვა მოწმეებისა და ექსპერტებისა, რომელნიც საარბიტრაჟო კომისიის სამყოფელ ადგილას არა სცხოვრობენ,—მათი გამოკითხვა მოხდება ადგილობრივ, ადგილობრივი საარბიტრაჟო კომისიის ან სახალხო სასამართლოს მეშვეობით. იგივე წესი უნდა იქნეს დაცული, როცა საჭირო იქნება ადგილობრივ დათვალეირების მოხდენა. საარბიტრაჟო კომისიის შეუძლიან ამა მუხლში აღნიშნული მოქმედებანი შესრულოს მის მიერ ადგილობრივ წარვლინებული საარბიტრაჟო კომისიის წევრის მეშვეობით.

მუხ. 25. სარჩელის წარდგენისას და, საერთოდ, საქმის ყოველგვარ მდგომარეობაში საარბიტრაჟო კომისიას შეუძლიან შესაძლებლად სცნოს სარჩელის უზრუნველყოფა. უკეთეს უზრუნველყოფის საკითხი რაიმე მიზეზით არ შეიძლება დაუყოვნებლივ შეტანილ იქნეს სასამართლო სხდომაზე,—მას გადასწევტს საარბიტრაჟო კომისიის თავმჯდომარე ან მისი მოადგილე; ხოლო შემდგომ მათი განკარგულება შეტანილ უნდა იქნეს დასამტკიცებლად საარბიტრაჟო კომისიის უახლოეს სასამართლო ან განმაწესრიგებელ სხდომაზე.

მუხ. 26. შემწეს (დებულების 9 მუხლი) უფლება აქვს წარადგინოს დამამტკიცებელი საბუთი და მისცეს ახსნა-განმარტება საარბიტრაჟო კომისიის სხდომაზე.

მუხ. 27. სცნობს რა საქმეს საკმაოდ გამოჩვეულად, სხდომის თავმჯდომარე შესწევებს კამათს და კომისია ვადის ცალკე ოთახში სათათბიროდ საქმის გამო.

მუხ. 28. გადაწყვეტილება დაიდგინება საარბიტრაჟო კომისიის მიერ ხმის უმრავლესობით და ხელმოწერილ უნდა იქნეს თავმჯდომარისა და საარბიტრაჟო კომისიის წევრთა მიერ, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს გადაწყვეტილების გამოტანაში. საარბიტრაჟო კომისიის წევრი, რომელიც, თავის განსაკუთრებულ აზრზედ დარჩება, აღნიშნავს ამას გადაწყვეტილების ხელის მოწერის დროს და შემდეგ სამი დღის განმავლობაში დაურთავს საქმეს განსაკუთრებული აზრის მოტივს.

მუხ. 29. გადაწყვეტილების დადგენის დროს საარბიტრაჟო კომისია ხელმძღვანელობს დებულების 12—14 მუხლს. საარბიტრაჟო კომისიის შეუძლიან გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ საქმის თაობაზე არსებითად ცალკე დადგენილებით წინადადება მისცეს მხარეთ გამოსთქვან თავიანთი აზრი გადაწყვეტილების შესრულების ვადისა, საშუალებისა და წესის შესახებ.

მუხ. 30. გადაწყვეტილება გამოცხადდება იმ სხდომაზე, რომელზედაც საქმე არსებითად ვარჩეულ იქნა და ძალაში შედის დებულებების 14 მუხლში აღნიშნულ ვადაზე. გადაწყვეტილების დაწერილებითი დასაბუთება, უკეთეს მისი სირთულის გამო იგი ვერ იქნა მოთხრობილი წერილობით გადაწყვეტილების დადგენასთან ერთად, — უნდა დაერთოს საქმეს შვიდი დღის განმავლობაში.

მუხ. 31. საარბიტრაჟო კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს ამიერკავკასიის უმაღლეს საარბიტრაჟო კომისიაში დებულების 16 მუხლის წესისამებრ და იმავე მუხლში აღნიშნულ ვადაზე.

მუხ. 32. მხარის შეუძლიან წარადგინოს კერძო საჩივარი სასარჩლო განცხადების ან საჩივრის მიღების დაყოვნებაზე და მიუღებლობაზე, აგრეთვე დადგენილებაზე სარჩელის უზრუნველყოფისა და გადაწყვეტილების წინასწარი შესრულების საკითხის შესახებ. კერძო საჩივარი წარდგენილ უნდა იქნეს შვიდი დღის განმავლობაში დღიდან საარბიტრაჟო კომისიის დადგენილებისა, გარდა იმ საჩივრისა, რომელიც შეეხება დაყოვნებას, რის შეტანისთვისაც ვადა არ განისაზღვრება. საჩივარი დაყოვნების გამო ან სასარჩლო განცხადების თუ საჩივრის მიღებაზე უარის თქმის გამო, წარედგინება უშუალოდ ამიერკავკასიის უმაღლეს საარბიტრაჟო კომისიას, ხოლო დანარჩენი — ადგილობრივ საარბიტრაჟო კომისიას, რომელიც სამი დღის განმავლობაში წარუდგენს მას ამიერკავკასიის უმაღლეს საარბიტრაჟო კომისიას თავისი ახსნა-განმარტებით.

მუხ. 33. იმ მხარის თხოვნისამებრ, რომლის სასარგებლოდაც დადგენილ იქნა გადაწყვეტილება, მას შეეცემა აღსრულების ფურცელი, რაც შეიცავს გადაწყვეტილების სარჩოლითუციო ნაწილს და საარბიტრაჟო კომისიის ბრძანებას ყველა დაწესებულებისა და პირისადმი — დახმარება აღმოუჩინონ მას აღნიშნული გადაწყვეტილების აღსრულებისათვის. იმ შემთხვევაში, როდესაც გადაწყვეტილება სისრულეში უნდა იქნეს მოყვანილი სასამართლოს აღმსრულებელის მეშვეობით, უკანასკნელი მოქმედებს იმ აღსრულების ფურცლის საფუძველზე, რომელსაც მას მხარე წარუდგენს.

მუხ. 34. საარბიტრაჟო კომისიის გადაწყვეტილების შესრულება დაეკისრება საქმის მონაწილე მხარეთ ისე, რომ, უკეთეს შესრულებულ არ იქნა საარბიტრაჟო კომისიის მიერ განსაზღვრულ ვადაზე, იგი სისრულეში იქნება მოყვანილი სასამართლოს აღმსრულებელის მიერ. უკეთეს გადაწყვეტილება არ შესრულდა საარბიტრაჟო კომისიას შეუძლიან აღძრას თანამდებობის პირთა წინააღმდეგ ბრალდება დისციპლინარული ან სისხლის სამართლის წესით. ასეთსავე პასუხისმგებლობას ეწევა დამნაშავე, რომელიც არ შეასრულებს საარბიტრაჟო კომისიის კანონიერ მოთხოვნას (6 მუხლი დებულებისა და 13 მუხლი წესებისა).

მუხ. 35. საარბიტრაჟო კომისიას უფლება ეძლევა მეთვალყურეობა გაუწიოს თავისი გადაწყვეტილების შესრულებას იმ სასამართლოს აღმსრულებელთა მიერ, ვისაც იგი გადაეცა. ყველა საკითხი და დაბრკოლება, რაც შეიძლება აღიძრეს სასამართლოს აღმსრულებელთაგან საარბიტრაჟო კომისიის გადაწყვეტილების შესრულების დროს, — გადასწდება სათანადო საარბიტრაჟო კომისიის მიერ ან, განსაკუთრებულ შემთხვევაში, მისი თავმჯდომარის მიერ, რაც უნდა ეცნობოს საარბიტრაჟო კომისიას უახლოეს სხდომაზე.

მუხ. 36. გადაწყვეტილების განმარტების უფლება აქვს საარბიტრაჟო კომისიას, რომელმაც ეს გადაწყვეტილება დაადგინა.

მუხ. 37. ადგილობრივი საარბიტრაჟო კომისიისა და აგრეთვე ამიერკავკასიის უმაღლესი საარბიტრაჟო კომისიის ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გადასინჯულ იქნეს საქმისათვის არსებითი, ახლად აღმოჩენილი გარემოების გამო, რომელიც მხარემ არ იცოდა და არც შეეძლო სცოდნოდა გადაწყვეტილების დადგენის დროს.

მუხ. 38. განცხადება ადგილობრივი საარბიტრაჟო კომისიის გადაწყვეტილების გადასინჯვის შესახებ (მუხ. 37) შეტანილ უნდა იქნეს ამიერკავკასიის უმაღლეს საარბიტრაჟო კომისიაში სათანადო ადგილობრივი საარბიტრაჟო კომისიის მეშვეობით, რომელიც შვიდი დღის განმავლობაში გააზგზავნის მას თავისი დასკვნით ამიერკავკასიის უმაღლეს საარბიტრაჟო კომისიაში. განცხადება ამიერკავკასიის უმაღლესი საარბიტრაჟო კომისიის გადაწყვეტილების გადასინჯვის შესახებ უშუალოდ წარედგინება ამავე კომისიას. გადაწყვეტილების გადასინჯვის თაობაზე ამიერკავკასიის უმაღლეს საარბიტრაჟო კომისიას გამოაქვს განსაკუთრებული დადგენილება; ამიერკავკასიის უმაღლეს საარბიტრაჟო კომისიას შეუძლიან იმავე სხდომაზე მიიღოს ახალი გადაწყვეტილება საქმის თაობაზე.

მუხ. 39. ამიერკავკასიის უმაღლეს საარბიტრაჟო კომისიას ეკუთვნის უშუალო ზედამხედველობა რესპუბლიკანური საარბიტრაჟო კომისიების მოქმედებისათვის. ამიერკავკასიის უმაღლესი საარბიტრაჟო კომისიის ყოველი ცირკულიარი და სხვა განკარგულება, როგორც საერთო ხასიათისა, ისე ცალკე საქმეთა გამო, უსათუოდ სავალდებულოა საარბიტრაჟო კომისიებისათვის.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **მ. პოლის.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **გ. სარუხანოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წლის ივლისის 18-ს თარიღის 163 №-ში.

დადგენილება ამიერკავკასიის სანსტრალური ალმა-სრულაგელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წლის ივლისის 16.

150. სომხეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკის რაიონებად დანაწილების შესახებ ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფისათვის.

1923 წლის აპრილის 23-ს თარიღით ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ გამოცემული დეკრეტის მე-3 მუხლის 1-ლი შენიშვნის განსავითარებლად, — ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო აწესებენ სომხეთისთვის შემდეგ დანაწილებას ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ნატურად თუ ფულად აკრეფის რაიონებისას:

1. გადასახადის ფულად აკრეფის რაიონებს მიეკუთვნოს: ერევნის მაზრაში: — მაზრის მთელი საზღვრით ნაწილი და ჩრდილო ნაწილი ყანაკირის რაიონამდე, შემდეგი დასახლებული პუნქტებითურთ: ერივანი, ავანი, არძნი, ყანაკირი, მოგუბი, ტაზაყელი, შავაბი, ეილიარი, არამუზი, დაშკენდი, აღამხალუ, აღპავა, ბულამლუ, იმანშალუ, ყარადავლუ, გაჯი-ეილას, ყილაღეი, ნორაკევიტ, ულუ-ხანლუ, ქვემო შინყავითი, ზემო შინყავითი, ჩარბახი, ბაშნალუ, ყარაგამზალუ, ყარაკოიუნლუ, ქვემო ყოილასარი, ზემო ყოილასარი, საბუნჩი, მატატლუ, ტახანშალუ, ჩივდამლუ, ბოიუკ-დალუიარ, გეოდაყლუ, დოზგუზ, ნოვრუზლუ, ოღურბეყლუ, ქვემო აღბაში, არდაშარი, დეინ-კიურ-კენტ, დეინ-არმიან-ზოგრაბლუ, კირხ-ბზიოვან, მეგრებლუ, მეს-ახუნ-ბზიოვან, ქვემო ყამარლუ, ზემო ყამარლუ, ყულამ-ადი-ბზიოვან, ქვემო ნიჯერლუ, ზემო ნიჯერლუ, იუვა, ბიჯი-ყალუ, ქვემო დარდალუ, ზემო დარდალუ

ეჩმიადინის მაზრაში-ქალაქები: ვალარშაპატი და აშტარაკი. კურდუყულისა და ზანგიბასარის რაიონები და აშტარაკისა და სამგარდის რაიონების დაბლობი ნაწილები:

ბაიაზეთის მაზრაში — ქალაქი ახალ-ბაიაზეთი და სოფელი ელენოვკა.

ალექსანდროპოლის მაზრაში — ქალაქი ალექსანდროპოლი და სოფლები, რომლებიც ქალაქიდან მდებარეობენ არა უმეტეს 15 ვერსის მანძილზე.

დელიჯანის მაზრაში — ქალაქი დელიჯანი.

ყარაყლისის მაზრაში — ქ. ყარაყლისი და სოფელი ამაღლი.

ლორის მაზრაში — ქ. ჯალალოღლი და სოფლები: შავარდი, ალექსანდროვკა, კოტურ-კული, ურუთი და აიდარაბეკი ჯალალოღლის მაზრისა; ვორონკოვკის რაიონი, გარდა ბოდნანოვკის, პატარა ყარაყლისის და სარჩაპეტის სოფლებისა; სოფლები ლამბალუ და ყერპალუ ალავერდის რაიონისა.

ხანგეზურის მაზრაში—ქ. გერუსი.

მეგრინის რაიონში—მთელი დაბლობი ნაწილი რაიონისა.

2. გადასახადის ნატურად აკრფის რაიონებს მიეკუთვნოს სომხეთის ყველა დანარჩენი ადგილები; ამასთანავე, ამ ადგილების მოსახლეობას უფლება მიეცეს გადასახადი ფულადაც შეიტანოს.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი

კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვ. სტურუა.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე მ. ორახელაშვილი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი

კომიტეტის მდივანი ბ. თალიბლი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკას“-ს 1923 წლის ივლისის 19-ს თარიღის 164-ში.

დადგენილება ამიერკავკასიის სენსრალური აღმასრულებელი კომისარტისა და ამიერკავკასიის სოც. ფედერ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წლის ივლისის 16.

151. შეღავათის შესახებ სრულიად რუსეთის 1923 წ. სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე გლეხთა მეურნეობათათვის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადახდევინებაში.

რათა გლეხობა წახალისებულ იქნეს სრულიად რუსეთის 1923 წლის სასოფლო-სამეურნეო და შინამრეწველობის გამოფენაში მონაწილეობისათვის, — ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერკავკასიის სოც. ფედერ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო, — ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ 1923 წ. აპრილის 23 თარიღით გამოცემული — „ზარია ვოსტოკა“ 1923 წ. აპრილის 26 № 93) — დეკრეტის დამატებად, — ადგენენ:

1. გლეხთა მეურნეობა ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე, რომელიც წარგზავნის სრულიად რუსეთის 1923 წლის სასოფლო-სამეურნეო და შინამრეწველობის გამოფენაზე მოსკოვში ექსპონატის სახით თავისი სასოფლო-მეურნეობის ნაწარმოებს და საგანს, — განთავსდებულ უნდა იქნეს მასზე მიმოცხლულ ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის 25 პროცენტის შეტანისაგან.

2. ექსპონატის სახით გამოფენაზე წარდგენილი წლოვანი მსხვილი რქოსანი საქონელი და მუშა-საქონელი არ უნდა იქნეს აღიუსხვილი დაბეგვისათვის.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი

კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვ. სტურუა

ამიერკავკასიის სოც. ფედერ. საბჭოთა რესპ.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე მ. ორახელაშვილი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი

კომიტეტის მდივანი ბ. თალიბლი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წლის ივლისის 19-ს თარიღის 164 №-ში.

დადგენილება № 64 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წლის ივლისის 14.

152. ამიერკავკასიის რკინისგზის საწონი ხელსაწყოს ჩამორთმევის შესახებ სახელმწიფო დაწესებულებათა, სახელმწიფო საწარმოთა, საზოგადოებრივ და კერძო ორგანიზაციათა და აგრეთვე კერძო პირთათვის.

1. ყველა სახელმწიფო დაწესებულება, სახელმწიფო საწარმო, საზოგადოებრივი და კერძო ორგანიზაცია და აგრეთვე კერძო პირი, რომლის სარგებლობაშიც არის საწონი იარაღები ამიერკავკასიის რკინისგზისა, მისი დლით, — ვალდებულია წესიერ მდგომარეობაში ჩააბაროს აღნიშნული იარაღები ტფილისში — ამიერკავკასიის რკინისგზათა სამმართველოს, ხოლო ადგილობრივ — უხლოესი რკინისგზის სადგურის უფროსს ორი კვირის განმავლობაში დლიდან ამა დადგენილების ძალაში შესვლისა.

2. ამა დადგენილების შეუსრულებლობისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სისხლის სამართლის წესით.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე მ. ორახელაშვილი.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი მ. პოლისი.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო
კომისართა საბჭოს მდივანი გ. სარუხანოვი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წლის ივლისის 20-ს თარიღის 165 №-ში.

დადგენილება № 65 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წლის ივლისის 14.

153. დროებითი დებულების შესახებ საბაჟო სამმართველოსათვის.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს შემდეგი დროებითი დებულება საბაჟო სამმართველოს შესახებ.

1. ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის მთელი საბაჟო ნაწილის გამგებლობა ეკუთვნის საკავშირო საბჭოს მიერ 1922 წლის სექტემბრის 24-ს თარიღით გამოცემული დეკრეტის („ზარია ვოსტოკა“ 1923 წლისა № 23) თანახმად დაარსებულ ამიერკავკასიის საბაჟო სამმართველოს.

2. საბაჟო სამმართველო არის ცენტრალური ორგანო, რომელიც ექვემდებარება ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატს.

3. საბაჟო სამმართველოს სათავეში სდგას მისი უფროსი.

4. საბაჟო სამმართველოს უფროსი წარუდგენს ხოლმე სახალხო კომისარს მოხსენებას შემდეგი საქმისათვის:

ა) დანიშვნა, სხვა ადგილზე გადაყვანა და დათხოვნა უფროსი ინსპექტორებისა.

ბ) პრინციპალური ხასიათის საკითხები, მათ შორის ისეთი საკითხები, რომელიც მოითხოვს გადაწყვეტას კანონმდებლობითი წესით ან შეთანხმებას სხვა სახალხო კომისარიატთან და დაწესებულებასთან და აგრეთვე საერთო ხასიათის ღონისძიებანი, რაზედაც წინადადებას მისცემს რუსეთის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის საბაჟო სამმართველო.

გ) გახსნა საბაჟო დაწესებულებათა და დაწესება მათი კატეგორიისა.

დ) დაწესება შტატებისა ცენტრალური სამმართველოსათვის და ადგილობრივი საბაჟო ორგანოებისათვის.

ე) აღრიცხვა და აღრიცხვის ზედმეტი კრედიტი.

ვ) აგება ახალ შენობათა და ძველ შენობათა კაპიტალური რემონტი.

5. საბაჟო სამმართველოს უფროსი დამოუკიდებლად გადასწყვეტს შემდეგ საქმეს;

ა) დანიშვნა, სხვა ადგილზე გადაყვანა და დათხოვნა საბაჟო სამმართველოს და ადგილობრივ საბაჟო დაწესებულებათა თანამშრომლებისა იმ პირთა გამოკლებით, რომელნიც აღნიშნულ არიან ამა დებულების მე-4 მუხლში და აგრეთვე შევსება ყველა თანამშრომლისათვის.

ბ) გამოცემა წესებისა და ინსტრუქციებისა საბაჟო საქმის ტენიკისათვის.

გ) გამოცემა ბრძანებათა და ცირკულიარებისა საბაჟო ნაწილისათვის მათი უშუალო გადაგზავნით ადგილებზე.

დ) გაწევა ადგილობრივ საბაჟო დაწესებულებათათვის რევიზიისა და ინსპექტორობისა.

ე) განკარგულება იმ კრედიტთა მოხმარებისათვის, რაც მიეცემა საბაჟო უწყებას.

ვ) დაცვა სასამართლოს წინაშე სახელმწიფო ინტერესებისა საბაჟო საქმეში პირადათ ან მის მიერ რწმუნებამოსილ პირთა მეშვეობით.

ზ) სააღმშენებლო-სამეურნეო საკითხები სამმართველოსი გარდა ამა დებულების მე-4-ე მუხლში აღნიშნულ საქმეებისა.

შენიშვნა. საბაჟო სამმართველოს აქვს დამოუკიდებელი საჟურნალო ნაწილი და სამმართველოს ბეჭედი.

6. ჯამაგირისა და სხვა ფულადი დაქმავილებისათვის საბაჟო სამმართველო უშუალოდ შეიღგენს მოთხოვნის ნუსხას და ასიგნობას.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის

სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **მ. პოლის.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **ვ. სარუხანოვი.**

გამოქვეყნებულია „ჭარია ვოსტოკა“-ს 1923 წ. ივლისის 20-ს თარიღის

დადგენილება № 66 აგიკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წლის ივლისის 16.

154. შირის კალოშებზე აქციზის დაწესების შესახებ ამიერკავკასიის ფულის ნიშნებით.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1923 წ. ივლისის 9-ს თარიღით შირის კალოშებზე აქციზის დაწესების შესახებ გამოცემული დადგენილების თანახმად დაწესდეს ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე შემდეგი რაოდენობა შირის კალოშების დაბეგვრისა ამიერკავკასიის ფულის ნიშნებით:

1. ფაბრიკიდან გასაყიდად გამოშვებული შინა წარმოების შირის კალოშის თვითეულ წყვილზე — ორას ორმოცდაათი ათასი მან. (250.000), ხოლო უცხოეთიდან შემოტანილისათვის — ხუთასი ათასი მან. (500.000) წყვილზე.

შენიშვნა. ბავშვის კალოშს დაედება აქციზი ნახევარი რაოდენობისა.

2. შირის კალოშის მარაგი დაიბეგვრება:

ა) მისი გამოშვების დროს საბითუმო და საბაზისო საწყობიდან, უკეთუ აქციზი გადარიცხულია ამ საწყობებზე;

ბ) სხვა სავაჭრო საწყობში და საწარმოში, აგრეთვე ნავთსადგურზე, რკინისგზის სადგურზე და საბაჟოს საწყობში და შენახვისა და გადაზიდვის სხვა ადგილას, — უკეთუ იგი მანამდე არ იყო დაბეგვრილი აქციზით;

გ) კალოშის მარაგი, რაც გამოშვებულია მისი წარმოებისა და შენახვის ადგილიდან ამა დადგენილების სამოქმედოდ შემოღებამდე, — რამდენადაც იგი გადავა სავაჭრო საწყობსა და საწარმოში.

3. ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატს უფლება ექლევა გამოსცეს ხოლმე წესი და ინსტრუქცია ამა დადგენილების განხორციელებისათვის.

4. დადგენილება ესე შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ ამა ივლისის 14-დან, — იმ დღიდან, როდესაც გამოქვეყნებულ იქნა ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ივლისის 9-ს თარიღით შირის კალოშებზე აქციზის დაწესების შესახებ გამოცემული დადგენილება.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის

სახალხო კომისართა საბჭოს საჭმეთა მმართველი **ივანიშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის

სახალხო კომისართა საბჭოს მდივნის თანამდებობის

დროებითი აღმასრულებელი **ლექიშვილი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წლის ივლისის 20-ს თარიღის

დადგენილება № 67 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოში.

1923 წლის ივლისის 23.

155. საერთო სახელმწიფო და სახელმწიფო შემოსავალთა შეტანის შესახებ ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატის სალაროებში.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ საერთო-სახელმწიფო, სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტებისათვის მიკუთვნილი ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახელმწიფო შემოსავლისა და გასავლის შესახებ 1923 წლის აპრილის 2-ს თარიღით გამოცემული დეკრეტის მე-2 კარში სისწორით არის განსაზღვრული ის მინაღები, რაც უნდა ჩაირიცხოს საერთო-სახელმწიფო და სახელმწიფო შემოსავალში. მაგრამ აღნიშნულ შემოსავალთა შეტანა ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის სალაროებში სწარმოებს არარეგულიარულად და არასრულად, რის გამოც იქმნება თვალსაჩინო დაბრკოლებანი ამ თანების სალარიცხოვო ნიადაგზე გადანაწილების გეგმისათვის. ამ შეუწყნარებელი და მანებელი მოვლენის აღსაკვეთად ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ყველა საერთო—სახელმწიფო (ფედერატიული) და სახელმწიფო (რესპუბლიკანური) შემოსავალი შეტანილ უნდა იქნეს ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის სალაროებში უშუალოდ, გარდა იმ საშემოსავლო მინაღებისა, რის გადახდებიცაა ახდენენ ცალკე უწყებანი, რომელთაც ამ მიზნისათვის აქვთ სალაროები სპეციალურ ამკრეფთა.

სიას იმ სალაროებისას, რომელნიც არსებულ კანონთა საფუძველზე ჰკრეფენ საშემოსავლო შესატანს, შეიადგენს და გამოაქვეყნებს ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატი.

2. იმ შემთხვევაში, როდესაც აუცილებელი ხდება სპეციალურ ამკრეფთა ახალი სალაროების გახსნა, ეს სალაროები შეიძლება გახსნილ იქნეს დინტერესებულ უწყებათა მიერ, ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულებითან და სათანადო რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა ინსპექციასთან შეთანხმებით აღძრული შუამდგომლობისამებრ—მისი (შუამდგომლობის) დამტკიცების შემდეგ ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფინანსთა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატების მიერ.

3. არც ერთ უწყებას, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტზე ირიცხება, არა აქვს უფლება თავის სპეციალურ ამკრეფთა სალაროებში გააჩეროს მიღებული შემოსავალი და მიაქციოს ეს შემოსავალი საკუთარი ხარჯების დასაფარავად, გარდა ისეთი შემთხვევისა, რაც გადაჭრით არის აღნიშნული.

4. სპეციალურ ამკრეფთა სალაროებში მიღებული შემოსავალი,—გარდა წინა მუხლით დადგენილი გამონაკლისისა,—შეტანილ უნდა იქნეს ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატის სალ-



როგებში შემდეგ ვადებზე, იმისდამიხედვით, თუ რა რაოდენობისაა მიღებული თანხები და რა მანძილზეა დაშორებული სპეციალურ ამკრეფთა სალაროები ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის სალაროებიდან:

ა) არა უგვიანეს შემდეგი დღისა, როცა შეგროვდება სპეციალურ ამკრეფთა სალაროში შესანახად ნებადართული თანხა, რომლის უკიდურეს რაოდენობასაც განსაზღვრავს ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებული ამა თუ იმ რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა ინსპექციასთან და სათანადო უწყებებსთან შეთანხმებით;

ბ) ორჯერზე არა ნაკლებად თვეში—იმ შემთხვევისათვის, როცა შეგროვილი თანხა ვერ აღწევს სპეციალურ ამკრეფთა სალაროში შესანახად ნებადართულ უკიდურეს რაოდენობას;

გ) იმ ვადებზე, რაც დადგენილ იქნება ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულთა მიერ, დაინტერესებულ უწყებებთან შეთანხმებით, მანძილის მიხედვით,—იმ შემთხვევაში, როცა სპეციალურ ამკრეფთა სალარო განსაკუთრებით დაშორებულია ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატის სალაროდან.

5. ყოველთვიურად, არა უგვიანეს ერთი კვირისა საანგარიშო თვის გასვლის შემდეგ, სპეციალურ ამკრეფთა თვითიერი სალარო შეადგენს თვის განმავლობაში მიღებულ შემოსავალთა ანგარიშს და წარუდგენს თითო ცალს თავის უწყებას, ამიერკავკასიის ფინანსთა სახ. კომისარიატის რწმუნებულსა და სათანადო რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატს.

6. ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულთა სამმართველოებს უფლება ეძლევათ, თავიანთი აგენტების მეშვეობით შეამოწონ და ინსტრუქტორობა გაუწიონ სპეციალურ ამკრეფთა სალაროებს საკასო საქმისა და საკასო ანგარიშების სათანადო დაყენებისათვის და აგრეთვე ხაზინაში ფულის თავის დროზე შეტანისათვის; ამასთანავე უმეტესად დიდი სალაროებისათვის შეიძლება დაინიშნოს ამიერკავკასიის ფინანსთა სახ. კომისარიატის რწმუნებულის წარმომადგენელი, რომელიც თვალყურს ადევნებს ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატის სალაროებში ფულის რეგულიარულად შეტანის საქმეს.

7. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკათა სათანადო სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად.

- 8. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა. ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისარიატის საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი**.
- ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისარიატის საბჭოს საქმეთა მმართველის თანამდებობის დროებითი აღმასრულებელი **ივანიშვილი**.
- ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისარიატის მდივნის თანამდებობის დროებითი აღმასრულებელი **ხ. ლეკიშვილი**.

დეკრუტი ამიერკავკასიის სოხ. ფედერ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წლის ივლისის 16-ს

156. რაიონების განაწილების შესახებ მოსავლიანობის კატეგორიების მიხედვით.

1923 წლის აპრილის 23 თარიღით ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ გამოცემული დეკრეტის მე-8 მუხ. განსაზღვრებულად ამიერკავკასიის სოც. ფედერ. საბჭ. რესპუბ. სახალხო კომისართა საბჭო აწესებს რაიონების შემდეგ განაწილებას მოსავლიანობის კატეგორიების თანახმად, რაც დადგენილია ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ამა წლის 29 მაისის თარიღით გამოცემული დეკრეტით—ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის განაკვეთის შესახებ.

აზერბაიჯანში

მე-2 კატეგორია (25-დან 30 ფუთამდე) მაზრის მაზრა.

მე-5 კატეგორია (40-დან 45 ფუთ.) მაზრები: შაქათლისა, ნუხისა, ყარაი-გინისა და ყუბათლინისა.

მე-6 კატეგ. (45-დან 50 ფუთამდე) მაზრები: ყაზახისა, შამხორისა, შუშისა, ჯევანშირისა, ყუბისა, განჯისა, ლენქორანისა, გეოქჩაისა, სალიანისა, შემახისა, აღდაშისა და ნახჩევანის მაზრე.

სომხეთში

მე-4 კატეგორიისა (35-დან 40 ფუთამდე) მაზრები: ახალი-ბაიაზეთისა, დარაღაგიოზისა, ზანგეზურისა და ალექსანდროპოლისა.

მე-5 კატეგ. (40-დან 45 ფუთამდე) მაზრები: ყარაკლისისა, დელიჯანისა, ლორისა და მელრინის რაიონი.

მე-6 კატეგ. (45-დან 50 ფუთამდე) მაზრები: ერევნისა და ეჩმიადინისა.

აღმოსავლეთ საქართველოში.

მე-3 კატეგ. (30-დან 35 ფუთამდე) თიანეთის მაზრის შთის ფერდობების ზოლი.

მე-4 კატეგ. (35-დან 40 ფუთამდე) ტფილისის მაზრა, სიღნაღის მაზრის ქიზიყისა, გურჯაანისა და ქოდლოს რაიონები.

მე-5 კატეგ. (40-დან 45 ფუთამდე) თიანეთის მაზრის დაბლობი ზოლი; მაზრები: ახალციხისა და ვორისა; დუშეთის მაზრის დაბლობი ზოლი.

მე-6 კატეგ. (45-დან 50 ფუთამდე) მაზრები: ბორჩალოსი და თელავისა.

მე-8 კატეგორია (60-დან 70 ფუთ.) სიღნაღის მაზრის შირაქისა და ალაზან-გალმა რაიონები.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის

სახალხო კომისართა საბჭოს დრ. საქმეთა მმართველი **ივანიშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის

სახალხო კომისართა საბჭოს დრ. მდივანი **ს. ლეკიშვილი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წ. ივლისის 25-ს თარიღის 169 №-ში.